ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“
+„ჩერჩილი“
yfobkb66
8 ლარი




პარასკევი, 13 მაისი, 2011 №112 (5493) ფასი: 30 თეთრი

# ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს დაერივნენ

## „ლანძღვაში შეჯიბრს არავისთან ვაპირებ“



გვ.2





## მთელი მთავრობა გასაშვებია!

გვ.3



გვ.6

## სააკაშვილი იმიჯის გადასარჩენად კალმახელიძეს გაწირავს

## „ქართული პარტიის“ განცხადებები სააკაშვილის დაგეგმილ სცენარს მიესადაგება

გვ.3





გვ.6

## გაერთიანების შემთხვევაში ოპოზიცია ხელისუფლებას შეცვლის

გვ.5

## მიაწვდის თუ არა ამერიკა საქართველოს შეიარაღებას





გვ.3

## მიხეილ სააკაშვილი: საქართველოს მთავრობა გარკვეულ დროს ქუთაისში გაატარებს



## მივმართავთ სააკაშვილს, ჩვენს კითხვებზე წერილობით გვიპასუხოს!

გვ.4

## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

4 „ახალი მემარჯვენეები“ ბაკურ კვეზერელის მოხსნას ითხოვენ

8 „ლა სკალას“ მენეჯერი თბილისს ეწვევა

7 რუსეთი ვმო-ში საქართველოს თანხმობის გარეშე გაწევრიანდება

8 სუხიშვილების „ასსა“ საქველმოქმედოა

# ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს დაერივნენ

## „ლან ღვაში შეჯიბრს არავისთან ვაპირებ“

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციაში დიდი დაპირისპირება გრძელდება. ამჯერად ერთმანეთს ყოფილი ალიანსელები სოზარ სუბარი და დავით უსუფაშვილი დაუპირისპირდნენ. დაპირისპირების მიზეზი ერთმანეთის მიმართ წარსულის შეხსენება იყო.**

ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარმა „ალიანსი საქართველოსთვის“, რომელიც თავის დროზე „რესპუბლიკელებს“, „ახალ მემარჯვენეებს“, „თავისუფალ დემოკრატებსა“ და სალომე ზურაბიშვილის პარტიას აერთიანებდა, 2010 წლის 30 მაისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის რუსეთთან გარიგებაში დაადანაშაულა.

ყოფილმა სახალხო დამცველმა ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში „რესპუბლიკელების“ ლიდერ დავით უსუფაშვილთან გამართულ დებატებზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირაკლი ალასანიასა და რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელ სერგეი ლავროვის მიუნხენში შეხვედრა შემთხვევითი არ ყოფილა, იყო დაგეგმილი და წინ უძღოდა სხვა შეხვედრები, რომლებიც საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის.

უსუფაშვილმა სუბარს მიმართა, ესაუბრა უფრო კონკრეტულად პირდაპირ ეთერში, თუ რას გულისხმობდა და რა ეჭვები ჰქონდა, რაზეც სუბარმა უპასუხა, რომ „ალიანსი“ რუსეთთან დაფინანსებაზე მართავდა მოლაპარაკებებს, ჰქონდა სხვა მოლოდინები და ყველაფრის გაშიფვრა საჭირო არ არის.

„ქართული პარტიის“ ლიდერის ბრალდება პოლიტიკოსებს შორის მწვავე სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა, უსუფაშვილმა სუბარს ნაძირალა უწოდა. ეთერის ბოლოს უსუფაშვილმა მაყურებელს აღელვების გამო ბოდიში მოუხადა.

დავით უსუფაშვილმა სოზარ სუბარს „ალიანსის“ დატოვების შესახებ გადაწყვეტილება შეახსენა, რაც, მისი თქმით, შუა ბრძოლაში მიტოვების კლასიკური მაგალითი იყო, რაზეც სოზარ სუბარმა უპასუხა, რომ „ალიანსმა“ არ აწარმოა ის აქტივობები, რომლებიც მათ რეალურ გამარჯვებაში დაეხმარებოდა.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ქართული პარტიის“ ლიდერმა განმარტებების გაკეთებისგან თავი შეიკავა. მისი განცხადებით, რაც მან თქვა, ის საკმარისია.

— ლანძღვაში შეჯიბრებას არავისთან ვაპირებ. ჰაერზე არაფერს ვამბობ. არ არის სწორი, როდესაც არაფრის გამო აჟიოტაჟს ქმნიან. ძალიან კარგი იქნება, უფრო მეტი განცხადებები გაკეთდეს არა „ქართული პარტიის“ გეგმებზე, არამედ იმაზე, თუ რას ამბობს პრეზიდენტი, როდესაც ის მოუწოდებს ტრაქტორისტებს, გადაუარონ ოპოზიციასა თუ გლეხებს. სანამ მე და ეროსი კიწმარიშვილი ჩავიდოდით იმ სოფლებში, ამ ტრაქტორებს გლეხები გადაუდგნენ, რომლებიც თავიანთ ერთადერთ საარსებო წყაროს იცავდნენ, მიწას, რომლის გარეშეც სოფელი არსებობას არის მოკლებული. ეს არის სოფელი, რომლის განაპირას საზღვარი გაავლო მიხეილ სააკაშვილმა, რომლის იქით ტყეში ვერ გადიან, რადგან იქ დგას რუსეთის ჯარი. ჯარი დააყენა მიხეილ სააკაშვილმა და არა სხვამ, — განაცხადა სოზარ სუბარმა.



სოზარ სუბარმა პრესკონფერენციაზე პარტიის ახალი წევრი თემურ ხუბულური წარადგინა. პარტიის ლიდემა ხუბულურის ოლიმპიურ წარმატებებზეც ისაუბრა, რომელიც მას ძიუდოს მიმართულებთ აქვს მოპოვებული.

სოზარ სუბარის განცხადებას გამოეხმაურნენ ყოფილი ალიანსელები. ისინი ირაკლი ალასანიასა და სერგეი ლავროვს შორის ფინანსურ გარიგებაზე საუბარს გამორიცხავს.

აღნიშნულ საკითხზე კომენტარი გააკეთა „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ.

კაციტაძემ სოზარ სუბარის სატელევიზიო გამოსვლას სამარცხვინო უწოდა.

კაციტაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა:

— სამწუხაროდ, სუბარს ანალიზის უნარის შეზღუდულობა მხოლოდ იმის ვარაუდის საშუალებას აძლევს, რომ როცა ერთი პოლიტიკოსი მეორეს შეხვდება, მათ აუცილებლად ფულზე უნდა ილაპარაკონ. მისივე თქმით, ასეთია სუბარის წარმოდგენები.



მამუკა კაციტაძის თქმით, ალასანია მაღალი რანგის პოლიტიკოსი იყო და მას, ბუნებრივია, შეხვედრები ჰქონდა როგორც რუს დიპლომატებთან, ასვეე სხვა პოლიტიკოსებთან და მსგავს შეხვედრებს დღესაც აგრძელებს.

როგორც „მემარჯვენეების“ წარმომადგენელმა აღნიშნა, სუბარმა, მიუხედავად დავით უსუფაშვილის თხოვნისა, ტელეეთერში ვერ გაამყარა თავისი არგუმენტები.

რაც შეეხება „ალიანსი საქართველოსთვის“ პრორუსულობას, ეს ბრალდება კაციტაძეს ერთ ანდაზას აგონებს: „გალმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო“.

— ეს სჭირს ახლა სუბარსაც და ქართულ პარტიასაც. როგორც ჩანს, ისინი იქცნენ გარკვეულ პოლიტიკურ კოსმეტოლოგებად და ცდილობენ, ფრანგული ხისტი ფრაზები გადმოაქართულონ ცოტა უფრო ლოიალურად და რბილად. ეს მათი პრობლემაა, — აცხადებს კაციტაძე.

„ეროვნული საბჭოს“ ყოფილმა წევრმა კახა კუკავამ ყოფილ ალიანსელებს შეახსენა ის დრო, როდესაც რუსეთთან თანამშრომლობაში ისინი „ეროვნულ საბჭოს“ ადანაშაულებდნენ.

— შარშან, ადგილობრივი არჩევნების წინ, „ალიანსი“ ჩვენ გვადანაშაულებდა პრორუსულობაში. დღეს, შეცვლილ ვითარებაში, ირკვევა, რომ თურმე ალიანსი ცდილობდა და, როგორც ჩანს, საკმაოდ წარმატებითაც, რომ დაფინანსება რუსეთისგან მიეღო. რეალურად დასავლურ და პროდასავლურ ძალებს საქართველოში წარმოადგენენ არა ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც უკრიტიკოდ იღებენ ყველა დოგმას, რომელსაც შესთავაზებენ ხოლმე ვაშინგტონიდან, არამედ, პირველ რიგში, მათ უნდა ეძიონ კონტაქტები იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც საკუთარი ქვეყნის ინტერესებით ხელმძღვანელობენ, — განაცხადა ჩვენთან საუბარში კახა კუკავამ.

სოზარ სუბარის გამოსვლას ირაკლი ალასანიას პარტიიდან გამოეხმაურნენ. ირაკლი ჩიქოვანის განცხადებით, „ქართული პარტიის“ თავმჯდომარის გუშინდელი განცხადებები მხდალი და უსუსური იყო.

სოზარ სუბარის განცხადებას გამოეხმაურა ნინო ბურჯანაძე. ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ლავროვისა და ალასანიას შეხვედრა შემთხვევითი არ ყოფილა. ბურჯანაძის თქმით, ისეთი რანგის ადამიანებს, როგორიც სერგეი ლავროვია, შემთხვევით დერეფანში არ ხვდებიან.

— შემთხვევით დერეფანში შეხვედრას 45-წუთიანი დიალოგი არ მოჰყვება. რა თქმა უნდა, ამას მოსამზადებელი სამუშაოებიც წინ უძღოდა და ტელეკომპანია „კავკასიაში“ გაკეთებულმა განცხადებებმა ჩემი ეჭვი კიდევ ერთხელ დაადასტურა. თუ ხვდები ასეთ ადამიანებს, მაშინ ამისი დადასტურებისთვის გამბედაობაც უნდა გეყოს, — განაცხადა ბურჯანაძემ.

ბურჯანაძე აცხადებს, რომ ყველაზე სუფთა პოლიტიკოსია და, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პირველ პირებთან მის შეხვედრებს ხშირად კრიტიკა მოსდევს, ტყუილი არასდროს უთქვამს.

— მე ვხვდები რუსეთის ლიდერებს და მომავალშიც შევხვდები, თუმცა, არ ვაპირებ, ეს დავმალო. თუ ამას აკეთებ, უნდა გეყოს გამბედაობა, რომ ეს ღიადაც თქვა, — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

## „ქართულმა აკადემიამ“ ირაკლი ოქრუაშვილი გააკრიტიკა

„ქართულმა აკადემიამ“ ირაკლი ოქრუაშვილი აშშ-სთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო გააკრიტიკა.



ორგანიზაციის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ კურსი, რომელიც „ქართული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ირაკლი ოქრუაშვილმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში გააცხადა, საქართველოს დააკარგვინებს ცივილიზებული სამყაროს მხრიდან ამ ბოლო ხანებში აშკარად გამოკვეთილ მხარდაჭერას და დაუტოვებს იმ ერთადერთ „პარტნიორს“, რომელიც მეგობრობს კუბის, ჩრდილოეთ კორეისა და სხვა მსგავს რეჟიმებთან.

— ადამიანებს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წინ აქციების გამართვას გეგმავენ, ცხადია, არავითარი იმედი არ აქვთ, რომ მათ ამ აქციას გაგებით მოეკიდება ცივილიზებული სამყარო. უეჭველია, ეს ყველაფერი ხელს აძლევს სააკაშვილის ხელისუფლებას, რომელიც, დღიდან მოსვლისა, ცდილობს, დასავლეთის თვალში საკუთარი თავი წარმოაჩინოს, როგორც რეგიონში ერთადერთი რაციონალური, დასავლური ორიენტაციის მქონე პოლიტიკურმა ძალამ. საშინაო მოხმარებისთვის კი ხელისუფლება ამგვარ განცხადებებს გამოიყენებს მთელი ოპოზიციური სპექტრის დისკრედიტაციისა და მასთან იოლი ანგარიშსწორებისთვის, — აღნიშნულია განცხადებაში.

იქვე გაზგასმულია, რომ პიროვნება, რომელიც საზოგადოებას საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევას რევოლუციის გზით ჰპირდება, სხვა ქვეყნიდან არ უნდა ემუქრებოდეს ადამიანებს.

— ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ასეთი ადამიანი გამარჯვების შემთხვევაში იოლად შეძლებს ქვეყანაში ახალი ავტორიტარიზმის დამყარებას. მოვუწოდებთ საზოგადოებას, უფრო თამამად და ღიად გამოთქვას თავისი აზრი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასპარეზი პოლიტიკურ დემაგოგებს მიეცემათ. საქართველოში მოვლენათა რევოლუციური განვითარების მომხრე შეიძლება იყოს ერთადერთი სახელმწიფო და ეს სახელმწიფო რუსეთია. რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული ექსპერტები კი უკვე დიდი ხანია ადგენენ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფისა და მისი შემდგომი დეზინტეგრაციის გეგმებს, — ნათქვამია „ქართული აკადემიის“ განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

## „სახალხო ფრონტი“ საპრეზიდენტო არჩევნებში პუტინის კანდიდატურას დაასახელებს

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების „ედინაია რასიას“ სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში, „საერთო რუსული სახალხო ფრონტი“ საპრეზიდენო არჩევნებში ვლადიმირ პუტინის კანდიდატურას დააყენებს. „გაზეტა.რუ“-ს ინფორმაციით, ეს განცხადება სახელისუფლებო პარტიის საბჭოს თავმჯდომარემ, სათათბიროს ქვედა პალატის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა გააკეთა.

— თუ ეს ძალა თავს გამოიჩენს დეკემბერში, მაშინ შესაძლოა, ის გახდეს მოედანი მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, — განაცხადა გრიზლოვმა.

ცოტა ხნის წინ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ შესაძლოა, არჩევნებში მონაწილეობა დიმიტრი მედვედევთან ერთად მიიღოს.

**ინტერპრესნიუსი**

## ოპოზიციის ნაწილი ერთმანეთს რუსეთიდან მეტი დაფინანსების მიღების მიზნით ებრძვის

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია„ დარწმუნებულია, რომ ოპოზიციის ნაწილი ერთმანეთს რუსეთიდან მეტი დაფინანსების მიღების მიზნით ებრძვის.

როგორც ედპ-ს ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ განაცხადა, ოპოზიცია არა ორ, არამედ სამ ნაწილადაა გაყოფილი.



— დღეს პოლიტიკური სპექტრი გაყოფილია არა მხოლოდ ორ - პროდასავლურ და პრორუსულ ნაწილად, არამედ თავად პრორუსული ოპოზიციაც, თავის მხრივ, ორადაა გაყოფილი და ამ ორ ფლანგს შორის ბრძოლა მიმდინარეობს იმაზე, ვინ უფრო მეტ ფინანსებს მოიძიებს რუსეთიდან და ვის უფრო კარგი პატრონი ეყოლება, — დასძინა ქარდავამ.

ასევე, ედპ-ს რევოლუციური გზით მოვლენების განვითარება მიუღებლად მიაჩნია და ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლას ანიჭებს უპირატესობას.

ბაჩუკი ქარდავას თქმით, დღეს ქვეყანაში პოლიტიკოსების მიერ ხელისუფლების შეცვლის ორი გზა იკვეთება - რევოლუციური და საარჩევნო, ედპ კი უპირატესობას საარჩევნო გზას ანიჭებს, რადგან პროცესების რევოლუციის გზით განვითარება ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია.

— ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც საქართველოში რევოლუცია აწყობს, ეს არის რუსეთი და ამას შედეგად მოყვება პოლიტიკური ორიენტირის შეცვლა დასავლეთიდან ჩრდილოეთისკენ და შესაძლოა, საქართველოს დაუდგეს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა საფრთხე. როგორც დასავლეთს, ისე ქართველ ხალხს ძალიან კარგად ესმით, რომ ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება, — განაცხადა „პრაიმ-თაიმის“ პრესკლუბში ქარდავამ.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# „სახალხო კრებას" არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტები" შეუერთდა

„სახალხო კრებას" არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტები" შეუერთდა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელის ზვიად ყუშიტაშვილის განცხადებით, „სახალხო კრების" მხარდაჭერისა და თანადგომის შესახებ გადაწყვეტილება მათ ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესმა მდგომარეობამ მიაღებინა.

— მიგვაჩნია, რომ „სახალხო კრება" არის ის ერთადერთი ძალა, რომელსაც რეალურად შესწევს უნარი განახორციელოს დასახული მიზნები ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ, უზრუნველყოს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, რაც უნდა გახდეს საქართველოდან მიგრაციის დონის შემცირების წინაპირობა, — აცხადებს ყუშიტაშვილი.

„სახალხო კრების" პრესსამსახურის ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტები" 2010 წელს შეიქმნა და ის 2000-მდე წევრს აერთიანებს.

**ინტერპრესნიუსი**

# „ქართული პარტიის" განცხადებები სააკაშვილის დაგეგმილ სცენარს მიესადაგება



„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე „ქართულ პარტიას" პროსახელისუფლებო ქმედებებში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ „ქართული პარტიის" მიერ გაკეთებული განცხადებები ადასტურებს მათ კავშირს ხელისუფლებასთან „სახალხო კრების" წინააღმდეგ ბრძოლაში.

— „ქართულ პარტიაში" ან იმდენად პოლიტიკური ბრიყვები არიან, რომ არ ესმით თავიანთი მოქმედებები ხელისუფლების წისქვილზე რომ ასხამენ წყალს. მეორე შემთხვევაში ისინი მართლაც იმდენად პოლიტიკურად ბრიყვები არიან, რომ ვერ ხვდებიან, რომ მათი ქმედებები ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, „ქართული პარტიის" მიერ გაკეთებული განცხადებები მიესადაგება სააკაშვილის მიერ დაგეგმილ სცენარს, რომ ხელი შეუშალოს სახალხო კრების„ მოქმედებებს. მან მაგალითად მოიყვანა ოქრუაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ დღეს ოპოზიცია გახლეჩილია. ბურჯანაძის თქმით, ხელისუფლება, ცოტა ხნის წინ, ზუსტად ამას აცხადებდა.

— ჩვენ მარტიდან მოყოლებული ვაცხადებდით, რომ 2 მაისს გამოცხადდება ჩვენი სამოქმედო გეგმა. ხელისუფლებამაც და ქართულმა პარტიამაც„ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანეს და განაცხადეს, რომ სახალხო კრებამ„ 2 მაისს დაგეგმილი მოქმედებები არ განახორციელა და კიდევ ერთხელ გაუცრუა საზოგადოებას იმედი, — აღნიშნა ბურჯანაძემ

და დასძინა, რომ ხალხმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. „სახალხო კრება" არ მიიღებს გადაწყვეტილებას იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პროცესებს ხელი შეუშალონ.

**მედიანიუსი**

# *მიხეილ სააკაშვილი:* საქართველოს მთავრობა გარკვეულ დროს ქუთაისში გაატარებს

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, თბილისი საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცენტრია, რომელზეც მიბმულია მთელი ამიერკავკასია — სომხეთი, აზერბაიჯანი. თბილისი, არა მხოლოდ საქართველოს დედაქალაქია, არამედ კავკასიისაც.



თუმცა როგორც პრეზიდენტმა ეროვნულ ბიზნესდაჯილდოება „მერკური 2011"—ზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ამ ეტაპზე მთელი მსოფლიოს განვითარება მიდის ზღვის მიმართულებით.

— ახლა თურქები ბოსფორზე ბევრად უფრო დიდი არხის აშენებას აპირებენ ხმელთაშუა ზღვისკენ და შავი ზღვა გახდება გახსნილი ზღვა. მაშინ, როდესაც მთელ მსოფლიოში განვითარების 80 პროცენტი მიდის ზღვის მიმართულებით, არაფრით არ შეიძლებოდა, რომ დასავლეთ საქართველოში ცენტრი არ გვქონოდა. ამიტომაც ორ ცენტრს ვქმნით — ბათუმს, როგორც ეკონომიკურ-ფინანსურ ცენტრს, სადაც უკვე დაწყებულია დიდი საოფისე შენობების მშენებლობა და ქუთაისს, როგორც საპარლამენტო დედაქალაქს, სადაც უკვე კონცენტრირებულია მთავრობის ბევრი უწყება, — განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ ბათუმსა და ქუთაისში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა არ შეჩერებულა.

— ბათუმში საერთოდ არ გაჩერებულა მშენებლობები. სხვათა შორის, სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ერთადერთი, რაც ბათუმში არის გაჩერებული, თბილისური დეველოპერული კომპანიების დაწყებული მშენებლობებია. თბილისელმა ბიზნესმენებმა ამაზე უნდა იფიქრონ. თუმცა, ვფიქრობ, ესეც სწორდება, სხვათაშორის, თბილისის მერიის დახმარებით. მაგალითად, ქუთაისში მშენებლობა დაიწყება იმის ხარჯზე, რომ იქ გადაგვაქვს პარლამენტი. საქართველოს მთავრობა გარკვეულ დროს ქუთაისში გაატარებს, რადგან ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და უნდა გვყავდეს მობილური მთავრობა, რომელიც მუდმივად გადაადგილდება მთელი საქართველოს მასშტაბით. ესეც ამ რეგიონის განვითარების ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპია, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის განვითარების საქმეში ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების აუცილებლობას გაუსვა ხაზი და დასძინა, რომ ამ მიმართულებით სამუშაო ადგილების შექმნის კარგი პერსპექტივა არსებობს.

**მედიანიუსი**

# მთელი მთავრობა გასაშვებია!

**ნანა მიშელაშვილი**

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომის საკითხს სვამს. ამ საკითხს პაატა დავითაია სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ დააყენებს. სახალხო დამცველის ანგარიშის შესწავლის შემდეგ პაატა დავითაია აცხადებს, რომ ანგარიშში მოყვანილი ფაქტები საბრალდებო დასკვნაა ზოგიერთი თანამდებობის პირისთვის.**



პარტიის „ჩვენ თვითონ" ლიდერს განსაკუთრებით ბევრი პრეტენზია ლტოლვილთა მინისტრ კობა სუბელიანის მიმართ დაუგროვდა. პაატა დავითაია ხელისუფლებას მიმართავს იმის შესახებ, რომ კობა სუბელიანის თანამდებობაზე ყოფნა პრობლემატურია, რასაც უკვე მთელი მსოფლიო ეხმაურება.

პაატა დავითაია მოითხოვს, რომ პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში პარლამენტმა გარკვეული უწყების ხელმძღვანელების პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი ჩაწეროს.

იგეგმება თუ არა დევნილთა ახალი გამოსახლება და რატომ მოითხოვს მთავრობის მთელი შემადგენლობით დათხოვნას ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი?

„ახალი თაობა" **პაატა დავითაიას** ესაუბრა.

***— სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენა 23 მაისისთვის გადაიდო. რატომ ჭიანურდება გიორგი ტუღუშის მოხსენების მოსმენა პარლამენტში?***

— თავდაპირველად უნდა ვთქვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც სახალხო დამცველის ასეთი ანგარიში შემოვიდა პარლამენტში. აღფრთოვანებული ვარ იმ მუშაობით, რომელიც გიორგი ტუღუშმა განახორციელა. რეალურად მოცემული აქვს ყველა ის ფაქტი, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში და დეტალურად აქვს ყველაფერი გაწერილი. ანგარიში საკმაოდ კარგად შევისწავლე, მაგალითებითა და მტკიცებულებებით აქვს გამყარებული ფაქტები. ფაქტობრივად, საბრალდებო დასკვნაა ზოგიერთი თანამდებობის პირისთვის. ანგარიშის განხილვას პარლამენტის სხდომაზე დებატების ფორმა უნდა მიეცეს.

***— დებატები პარლამენტში შედგება?***

— კომიტეტის სხდომის ჩატარების შემდეგ ეს საკითხი ბიუროს სხდომაზე განხილვის თემა გახდება. ალბათ, მაინც დებატების ფორმა მიეცემა. უმრავლესობას სურს თუ არა, მაინც დებატების ფორმა მიეცემა.

***— რატომ, ოპოზიცია მწვავე განცხადებების გაკეთებას აპირებს?***

— რა თქმა უნდა. ოპოზიციის წარმომადგენლებს საკუთარი პოზიცია აქვს ამ ანგარიშთან დაკავშირებით. ბიუროს სხდომაზე ითქვა, რომ სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვა 10 მაისს უნდა მომხდარიყო, მაგრამ, რადგან ომბუდსმენი საქართველოში არ იმყოფება, მისი განხილვა კომიტეტში 23 მაისს მოხდება.

***— კიდევ ხომ არ გადაიდება სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვა და ზაფხულში ხომ არ მოუსმენთ გიორგი ტუღუშს?***

— არა მგონია, კიდევ გადაიდოს. არანაირ პრინციპულ განსხვავებას არ ვხედავ, თუ როდის მოხდება ანგარიშის განხილვა და გეტყვით, რატომ. მთავარია, რომ დოკუმენტურად, მტკიცებულების სახით საქართველოს პარლამენტში სახალხო დამცველის ანგარიში დევს იმ ფაქტებზე, რომლებიც ომბუდსმენმა ასახა.

***— კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

— ეს არის ლტოლვილთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს უხეში დარღვევები. ჩვენ ვნახეთ სახალხო დამცველის ანგარიში, ვნახეთ საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები, კერძოდ, დევნილებთან დაკავშირებით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია, ასევე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენება. ამ დროს ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ლტოლვილთა სამინისტრომ და ხათუნა კალმახელიძის უწყებამ პასუხები გასცა სახალხო დამცველს, ანუ ოფიციალური პასუხი გასცა ორივე სამინისტრომ სახალხო დამცველს გარკვეულ ფაქტებთან დაკავშირებით. მე მაინტერესებს, რატომ არ გასცა პასუხი ლტოლვილთა სამინისტრომ და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტრომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებას ან ევროსაბჭოს რეზოლუციას?

***— რატომ არ გასცეს პასუხი?***

— სასაცილოა, რომ კობა სუბელიანმა პასუხი გასცეს ჰილარი კლინტონს. ამიტომ ვამბობ, რომ პარლამენტში დებატები შედგება და მაინტერესებს კითხვაზე პასუხი — რატომ არ გაეცა პასუხი სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს.

***— ეს რიტორიკული შეკითხვაა ორი უწყების მიმართ?***

— არა, რიტორიკული შეკითხვა არ არის.

***— თქვენ თავად აღნიშნეთ, რომ კობა სუბელიანი პასუხს ვერ გასცემდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს...***

— არ ვიცი, შეიძლება, სუბელიანს რაიმე აქვს სათქმელი... ახლა არ ჩავუღრმავდები იმას, რაც წერია სახალხო დამცველის ანგარიშში დევნილებთან დაკავშირებით, რადგან ეს საკითხები არაერთხელ დამიყენებია. ახლაც გამოვიყენებ შესაძლებლობას და პასუხისმგებლობის საკითხს დავსვამ.

***— ვისი პასუხისმგებლობის საკითხს დასვამთ, კობა სუბელიანის?***

— მხოლოდ სუბელიანის პასუხისმგებლობაზე არ არის საუბარი, მთელი მთავრობის პასუხისმგებლობაზეა. არ მინდა, მხოლოდ სუბელიანი გამოჩნდეს განტევების ვაცად. მთავრობის კოორდინაციის საკითხია, რაზეც ბევრი რამ არის გადაჯაჭვული.

***— სახალხო დამცველის ანგარიშიდან გამომდინარე სვამთ მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს?***

— მე ეს საკითხი პარლამენტში დებატების დროსაც დავაყენე, მაგრამ მთავრობა არ შეცვლილა. ჩემი გამოსვლის შემდეგ პრეზიდენტმა თქვა, რომ გარკვეულ ფაქტებთან დაკავშირებით, რაც მე დავასახელე, გამოძიება უნდა დაიწყოს. გამოძიება დაწყებული არ არის. ეს ფაქტები გამოსაძიებელია. სახალხო დამცველის ანგარიში არავითარ შემთხვევაში ცნობად არ უნდა იქნეს მიღებული, დადგენილება უნდა მიიღონ. შეგახსენებთ, რომ სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ პარლამენტი მას ან ცნობად იღებს, ან დადგენილებას იღებს.

***— დადგენილებაში რა უნდა ჩაიწეროს?***

— მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი. როდესაც ერთი მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება, მეორე მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება, ჯანდაცვის სისტემაში დარღვევები იკვეთება, ეს მთავრობა მინისტრებისგან შედგება, ე.ი. პრემიერ-მინისტრია სუსტი, ამიტომ დგება მთელი მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი. ხელისუფლებამ უნდა გაატაროს საკადრო ცვლილებები. ეს მაშინაც ვთქვი, როდესაც პრეზიდენტი იყო პარლამენტში მოსული. ამ ყველაფერის დასტურია სახალხო დამცველის ანგარიშიც.

***— პრემიერ ნიკა გილაურის შემცვლელად ვის ხედავთ?***

— მე არ ვიცი, ვინ შეცვლის გილაურს. ეს არ არის ჩემი პრეროგატივა. ამაზე არ ვფიქრობ, პრეზიდენტი ვის დაასახელებს პრემიერად. ეს ხელისუფლების საფიქრალია და მათ იფიქრონ. არის რამდენიმე სფერო, სადაც ჩავარდნებია, მაგალითად, ეკონომიკურ სფეროში. პრობლემა არსებობს მთავრობის აღსრულების სისტემაში. კარგად რომ წაიკითხოთ, რა ხდება სასჯელაღსრულების სისტემაში, არ ვიცი, რა დასკვნას გამოიტანთ. მესმის, რომ ძალიან რთული სისტემაა, რთული სფეროა, ნუ ჰგონია ვინმეს, რომ ახალი მინისტრი მივა და 2 დღეში სისტემას დაალაგებს. ასე არ იქნება. მაგრამ ამ სისტემაში ისეთი დარღვევებია, რომ პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება.

***— თანამდებობრივი თუ სისხლისსამართლებრივი?***

— პირველ რიგში უნდა დადგეს პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ეს გამოძიების პრეროგატივაა. პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს.

***— არსებობს ასეთი ინფორმაცია დევნილებთან დაკავშირებით, რომ მაისში გამოსახლების მეორე ტალღა მზადდება. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?***

— ამაზე ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა, არაფერს გამოვრიცხავ. როდესაც ადამიანებს არასწორად გამოასახლებ და პასუხს არ აგებ, რაზეც მთელი მსოფლიო გეუბნება, რომ პასუხისმგებელი ხარ, მაგრამ მაინც მინისტრი ხარ, რა პრობლემაა, კიდევ გამოაგდებ ვინმეს.

***— დევნილებს რაიმე სახის გაფრთხილება მიუვიდათ თუ საიდან გავრცელდა ეს ინფორმაცია, რომ ახალი გამოსახლება იგეგმება?***

— ჯერ არავისთვის არაფერი უცნობებიათ. თუ მსგავსი რაიმე იქნება, გამოვალ და ვიტყვი. ჭორის დონეზე მეც მსმენია, თუმცა, რეალური ინფორმაცია არა მაქვს, კონკრეტულ ინფორმაციას არ ვფლობ.

***— საპროტესტო აქციების გამო დევნილების გამოსახლებას ხომ არ ერიდებიან?***

— რა მნიშვნელობა აქვს, მაისში იქნება გამოსახლება, ივნისში თუ სექტემბერში? სექტემბერში რომ გამოასახლონ, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს? ის დარღვევები, რომლებიც გამოსახლების დროს ხდებოდა, არ უნდა ხდებოდეს.

***— კობა სუბელიანის ძირითად მინუსად იმას თვლიან, რომ მას დევნილებთან კომუნიკაცია უჭირს. ეს პრობლემა კვლავ არსებობს?***

— კომუნიკაციის პრობლემიდან დაწყებული, არაჯანსაღი დამოკიდებულებით დამთავრებული, ეს პრობლემები არსებობს.

***— ხელისუფლება რატომ ვერ ელევა კობა სუბელიანს?***

— არ ვიცი, გარკვეული მოსაზრები მაქვს, მაგრამ ამას ახლა არ მინდა ჩავუღრმავდე. ხელისუფლებას ერთი რამ მინდა ვურჩიო: კობა სუბელიანის ამ თანამდებობაზე ყოფნა უკვე პრობლემატურია. ამას მსოფლიო ეხმაურება. მე კი არ ვეხმაურები, ევროსაბჭო ეხმაურება, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ეხმაურება, სახალხო დამცველი ეხმაურება.

***— სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ ხელისუფლება ერთი-ორ მინისტრს ხომ არ გაწირავს და პოსტიდან გაუშვებს?***

— ხელისუფლების ადგილზე მე მთლიან მთავრობაში განვახორციელებდი ცვლილებებს. ძნელია საუბარი იმაზე, თუ რას გააკეთებს ხელისუფლება, მაგრამ ლოგიკურად ამას უნდა მოჰყვეს მთელი მთავრობის გადადგომა.

***— პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში ძირითად პუნქტებად კიდევ რა უნდა ჩაიწეროს?***

— დაევალოს მთავრობას, გარკვეული უწყებების ხელმძღვანელების პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი განსაზღვროს.

# მივმართავთ სააკაშვილს, ჩვენს კითხვებზე წერილობით გვიპასუხოს!

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციურმა „რვიანმა" გუშინ ხელისუფლებას მიმართვა გაუგზავნა. „რვიანის" ლიდერების განცხადებით, ხელისუფლება ვერ უბრუნდება მოლაპარაკების მაგიდას, სწორედ იმიტომ, რომ ვერ ახერხებს პროცესის მისთვის სასურველი შედეგით დასრულებას.**

— ოპოზიციური „რვიანის" სამართლიანი, პრინციპული პოზიციისა და სწორი ტაქტიკის გამო სააკაშვილის გუნდი ვერ ახერხებს პროცესის მისთვის სასურველი შედეგით დასრულებას და ამიტომ არ უბრუნდება საარჩევნო მოლაპარაკების მაგიდას. ამასთანავე, საერთაშორისო თანამეგობრობა ხელისუფლებისაგან ცალსახად და დაბეჯითებით მოითხოვს საარჩევნო საკითხებზე ოპოზიციასთან შეთანხმებას, როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების წინაპირობას, — ნათქვამია მიმართვაში.



„რვიანის" წევრები აცხადებენ, რომ ხელისუფლება ხელს უწყობს პროცესების ქუჩაში გადატანასა და რევოლუციური პროცესების მომწიფებას.

— ამგვარ მძიმე ვითარებაში აღმოჩენილი მმართველი რეჟიმი ოპოზიციური „რვიანის" სამართლიანი მოთხოვნებისგან თავის დასახსნელად ხელს უწყობს მოსახლეობაში არჩევნებისადმი ნიჰილიზმის გაღვივებასა და პოლიტიკური პროცესების ქუჩაში გადატანას, — ნათქვამია „რვიანის" განცხადებაში.

„რვიანის" ლიდერების პოზიცია ხელისუფლების ცვლილების გზებთან დაკავშირებით ისევ უცვლელია.

— ჩვენ, რვა პოლიტიკურმა პარტიამ, არაერთხელ განვაცხადეთ და კვლავ ვიმეორებთ, რომ საქართველოში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს არჩევნების გზით, საარჩევნო მოლაპარაკებებში ჩვენ ვართ ერთიანი პოზიციის მქონე მხარე და ხელისუფლებისაგან მოვითხოვთ საჯარო და გამჭვირვალე მოლაპარაკებების გზით შეთანხმების მიღწევას, — ამბობენ „რვიანის" წარმომადგენლები.

„რვიანი" მიმართავს მიხეილ სააკაშვილს, რომ ხელისუფლებამ მაისის ბოლომდე გასცეს კონკრეტული წერილობითი პასუხები მათ მიერ შეთავაზებულ წინადადებებზე, პირველ რიგში კი ამომრჩეველთა აღრიცხვასა და საარჩევნო სისტემის მოდელებზე.

— მივმართავთ მიხეილ სააკაშვილს, შეწყვიტოს უღირსი მეთოდებით ხელისუფლების შენარჩუნების მცდელობა და ხელი შეუწყოს საარჩევნო საკითხებზე პოლიტიკური შეთანხმების მიღწევას დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში. ამისთვის საჭიროა, ხელისუფლებამ მაისის ბოლომდე, როგორც ეს პროცესის დასაწყისში პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად განისაზღვრა, გაგვცეს კონკრეტული წერილობითი პასუხები ჩვენ მიერ შემოთავაზებულ წინადადებებზე, პირველ რიგში, ამომრჩეველთა აღრიცხვისა და საარჩევნო სისტემის მოდელებზე, — მოუწოდებენ პრეზიდენტს „რვიანში" შემავალი პარტიები.



„რვიანი" გუშინ გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე ალაპარაკდა კონკრეტულ ვადაზე. ეს ვადა კი, როგორც უკვე დადასტურდა, მაისის ბოლოა.

მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში მთელ პასუხისმგებლობას კონკრეტულად ქვეყნის პრეზიდენტს აკისრებენ და იქვე აცხადებენ, რომ ყველა კონსტიტუციურ საშუალებას გამოიყენებენ და ბოლომდე იბრძოლებენ თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად.

— დადგენილ ვადებში ხელისუფლების პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, მოლაპარაკების მიმდინარე პროცესის ჩაშლასა და მის შედეგებზე პასუხისმგებლობა დაეკისრება მიხეილ სააკაშვილს, ჩვენ კი, ამ გარემოების გათვალისწინებითა და ყველა კონსტიტუციური საშუალების გამოყენებით გავაგრძელებთ ბრძოლას საქართველოში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად, — ამ შინაარსის მიმართვა გაუგზავნეს ხელისუფლებასა და უშუალოდ პრეზიდენტს „რვიანის" წარმომადგენლებმა.

# „ახალი მემარჯვენეები" ბაკურ კვეზერელის მოხსნას ითხოვენ

**„ახალი მემარჯვენეები" ხელისუფლებას კვლავ ადანაშაულებენ გლეხებისა და ფერმერების პრობლემების იგნორირებაში და აგრარული სექტორის დასახმარებლად რადიკალური ზომების მიღებას მოითხოვენ.**

ნათია ხურცილავა

გლეხებისა და ფერმერების პრობლემებთან დაკავშირებით გუშინ „ახლების" ოფისში სპეციალური პრესკონფერენცია გაიმართა.

„ახალი მემარჯვენეები" მიიჩნევენ, რომ სოფლის მეურნეობაში მდგომარეობა საგანგაშოა. ისინი აცხადებენ, რომ ხელისუფლება ვერ აცნობიერებს გაჩანაგების იმ მასშტაბებს, რომელიც სოფლის მეურნეობაშია.

— მიუხედავად იმისა, რომ საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფართომასშტაბიან კამპანიას აწარმოებს, გლეხებსა და ფერმერებს სერიოზულ დახმარებას ჰპირდება ამერიკული ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის თესლის შეძენაში, დათესვისთვის ტექნიკითა და მოსავლიანობის გაზრდისთვის მინიმალური სასუქებით უზრუნველყოფაში, ამ სამი დაპირებიდან რეალურად მხოლოდ ერთი შესრულდა: სამინისტრომ თესლის გავრცელებაზე ზედმეტი გულმოდგინებაც კი გამოიჩინა. რაც შეეხება დანარჩენ ორ დაპირებას, მათ შესრულებაზე თავი აღარ შეუწუხებია. შედეგად, თესვის სეზონი, პრაქტიკულად, დამთავრდა, საქართველოს თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონში კი მიწების უდიდესი ნაწილი მოუხნავ-დაუთესავია. სამინისტრომ არც იმ სპეციალური ტექნიკით უზრუნველყო გლეხები და ფერმერები, რომლებიც ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის თესვისთვის აუცილებელია, სავარაუდოდ, არც მინერალური სასუქების მიწოდების ვალდებულების შესრულებას აპირებს, — განაცხადა პრესკონფერენციაზე „ახალი მემარჯვენეების" რეგიონული სამსახურის უფროსმა გიორგი ასათიანმა.



„ახლების" რეგიონული სამსახურის უფროსს ბევრი კითხვა აქვს ჰიბრიდული სიმინდის შემოტანისა და მისი კამპანიის წარმოების კუთხით.

— ძალიან ბევრი კითხვა იბადება თვით ჰიბრიდული სიმინდის შემოტანის კამპანიასთან დაკავშირებით: არ არის გამჭვირვალე სათესლე მასალის შესყიდვის პროცესი, არავინ იცის, რა თანხა დაჯდა ეს კამპანია და რა გათვლებს ეყრდნობოდა, თუ ეს სახელმწიფო დაკვეთა იყო, რატომ არ გამოცხადდა ტენდერი თესლის შემოტანაზე და ა.შ. რაც შეეხება ამ სათესლე მასალის იძულებით გასაღებას, ის სახელმწიფო სისტემის ბოლშევიკური მეთოდებით საქმიანობის კიდევ ერთ ნათელ მაგალითად იქცა, — განაცხადა ასათიანმა.

— დაკრედიტებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო გლეხებსა და ფერმერებს არ აქვთ სახსრების მიღების შესაძლებლობა, რომლითაც თესლს, საწვავს, სასუქს შეიძენენ ან მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებას შეძლებენ. სერიოზულ პრობლემად იქცა საწვავის, სათესლე მასალების, სასუქის ფასები და ინფლაცია, მცირე ზომის ნაკვეთები, ტექნიკის სიმცირე, მომსახურების სიძვირე. შედეგად, ქვეყანაში წლითიწლობით მცირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. საქართველო თითქმის მთლიანად დამოკიდებული გახდა იმპორტზე. დღეს იმპორტით შემოდის ხორბლის 92 პროცენტი, მცენარეული ცხიმის 83 პროცენტი, ფრინველის ხორცის 76 პროცენტი, შაქრის 65 პროცენტი, ღორის ხორცის 65 პროცენტი, ბოსტნეულის 30 პროცენტზე მეტი. აღარ მიმდინარეობს მუშაობა ჯიშთა გამოცდისა და მეთესლეობის განვითარების მიმართულებით. წელს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების მხოლოდ 40 პროცენტია დამუშავებული. არ არსებობს დეტალური ინფორმაცია და არავინ იცის, რეალურად რა თანხაა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. 150 მილიონი ლარი, რომელიც, ხელისუფლების მტკიცებით, თითქოს სხვადასხვა ფონდიდან და ინვესტიციების სახით იქნა მობილიზებული, მითია და რეალობასთან არაფერი აქვს საერთო, — განაცხადა გიორგი ასათიანმა.

„ახალი მემარჯვენეები" ხელისუფლებას მოუწოდებენ, აგრარულ სექტორში ხელმძღვანელები შეცვალონ და სამინისტროს სათავეში ჩააყენონ გამოცდილი პროფესიონალები.

# ალიმენტი დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა კატეგორიას განეკუთვნება

აღსრულების ეროვნულ ბიუროში ალიმენტის საკითხზე შესულ საქმეთა რაოდენობა ბოლო სამი წლის განმავლობაში ყოველთვიურად იზრდება. ბიუროს ინფორმაციით, მატულობს არა მხოლოდ ალიმენტის მომთხოვნი დედების, არამედ მეურვე მამებისა და იმ უმწეო მშობლების რიცხვი, რომლებიც შვილებს ალიმენტის გადახდას სარჩოს სახით აკისრებენ. საოჯახო დავებთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებებიდან ალიმენტი აღსრულების ეროვნული ბიუროს დაუყოვნებლივ აღსასრულებელ საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება. აღსრულების ეროვნულ ბიუროს ყოველთვიურად 60 მდე მშობელი მიმართავს. ალიმენტს, როგორც წესი, ბავშვის მეურვე მშობელი (ძირითადად, დედა) ითხოვს. "მედიანიუსი" ამ აქტუალურ საკითხზე აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროს **ხათუნა გაზდელიანს** ესაუბრა:

***— ქალბატონო ხათუნა, რა ტიპის მომსახურებას სთავაზობს აღსრულების ეროვნული ბიურო მოქალაქეებს ალიმენტთან დაკავშირებით?***

— თუ მოქალაქეს აქვს ალიმენტის მიღების უფლება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოვალე თავს არიდებს სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას და მოქალაქე ალიმენტის თანხას დადგენილ დროს და დადგენილი ოდენობით ვერ იღებს, მას საკუთარი უფლებების დასაცავად აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის მიმართვა შეუძლია. ჩვენ კუთვნილი თანხის მიღებაში დაგეხმარებით. ალიმენტის საქმეებთან დაკავშირებით კრედიტორი აღსრულების საფასურის წინასწარ გადახდისგან თავისუფლდება. აღსრულების საფასურის აღსასრულებელი მოთხოვნის 7 პროცენტის გადახდა აღსრულების დაწყებისთანავე მოვალეს ეკისრება.

***— რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს მოქალაქემ აღსრულების ეროვნულ ბიუროში ალიმენტის თემაზე სააღსრულებო საქმისწარმოებასთან დაკავშირებით?***

— განცხადება, სასამართლოს გადაწყვეტილება (დამოწმებული ასლი), სააღსრულებო ფურცელი (დედანი), განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რწმუნებულება?მინდობილობა (დედანი) წარმომადგენლობის შემთხვევაში და საბანკო რეკვიზიტები, სადაც ალიმენტის თანხის გადარიცხვა უნდა მოხდეს.

***— რა პროცედურებს მიმართავს აღსრულების ეროვნული ბიურო ალიმენტის მოთხოვნის შესახებ შემოსულ საქმეზე?***

— ალიმენტი დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა კატეგორიას განეკუთვნება და, შესაბამისად, აღმასრულებელი, რომელსაც აღსასრულებლად კონკრეტული საქმე დაევალება, მოვალეს უგზავნის წინადადებას გადაწყვეტილების ნებაყოფლობით დაუყოვნებლივ შესრულებაზე. თუ მოვალე მასზე დაკისრებულ ვალდებულებას დაუყოვნებლივ არ შეასრულებს, აღმასრულებელი შემდეგ იძულებით სააღსრულებო მოქმედებებს მიმართავს: მოვალის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაცია, რომელიც იწვევს კანონით დადგენილ უფლებრივ შეზღუდვებს; მოვალის ქონების მოძიება, აღწერა, დაყადაღება, შეფასება და შეფასებიდან ერთი თვის ვადაში პირველი იძულებითი აუქციონის ჩატარება. მოვალისაგან ამოღებული თანხა სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე დაირიცხება, საიდანაც აღსრულების საფასური დაიფარება და ალიმენტის თანხა მოვალეს მის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე დაერიცხება.

***— როგორია აღსრულების ეროვნულ ბიუროში ალიმენტის საკითხზე შემოსულ საქმეთა სტატისტიკა?***

— აღსრულების ეროვნულ ბიუროში, 2010 წლის მონაცემებით, ალიმენტის საკითხებზე 3 354 საქმეა რეგისტრირებული. აქედან თბილისის ბიუროს წარმოებაში 1 229 ალიმენტის საქმეა, საიდანაც თანხას რეგულარულად 361, პერიოდულად 152 იხდის. 716 კი ურჩი გადამხდელია. მოვალეების დაახლოებით 30 პროცენტი დასაქმებულია და მათგან თანხის ამოღება აღმასრულებლის მიერ მოვალის სურვილის საწინააღმდეგოდ, ყოველთვიურად ხდება. დაკისრებულ თანხას ნებაყოფლობით მოვალეების 35 პროცენტი იხდის, ხოლო დარჩენილი 35 პროცენტი არ მუშაობს, არანაირ ქონებას არ ფლობს და, შესაბამისად, მათგან თანხის ამოღება ყოველთვიურად ვერ ხერხდება.

***— რა უნდა გაითვალისწინოს მოქალაქემ, რომელიც აღსრულების ეროვნილ ბიუროს ალიმენტის თანხის მიღებაზე მიმართავს?***

— ალიმენტის საქმეზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება; ალიმენტის დაკისრება იწყება სარჩელის წარდგენიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე ; ერთ ერთი მხარის გარდაცვალება იწვევს ალიმენტის საქმის შეწყვეტას; როდესაც ალიმენტის გადამხდელის ადგილსამყოფელი უცნობი, მოსამართლეს აღსრულების ეროვნული ბიუროს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნისა და მოყვანის შესახებ . დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავს არიდება იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მედიანიუსი

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის,
ბილაინის აბონენტებმა
დარეკეთ ნომერზე
700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# მიაწვდის თუ არა ამერიკა საქართველოს შეიარაღებას

თეა მარხვაძე

ამ საკითხზე გამუდმებით საუბრობენ ცხინვალისა და სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენლები. მათი თქმით, საქართველო საეჭვოდ იარაღდება. სეპარატისტების განცხადებით, საქართველოს სამხედრო პოტენციალი იმაზე მაღალია, ვიდრე ეს ავადსახსენებელ აგვისტოს ომამდე იყო.

26 მაისს თბილისში სამხედრო აღლუმი გაიმართება, სადაც ჩვენებურები შეიარაღების დემონსტრირებას მოახდენენ. ქართული არმიის შეიარაღების თემა კარგა ხანია რუსული მედიის მთავარი სალაპარაკო გახდა.

ამის შესახებ ხშირად იწერება ამერიკულ პრესაშიც. ჩნდება კითხვები, თუ რატომ არ აწვდის საქართველოს ამერიკა შეიარაღებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა თბილისი ავღანეთსა და ერაყში თავის კონტინგენტს ლამის წელიწადში ორჯერ ზრდის, თანაც იმ ფონზე, როცა ნატოს წევრ ქვეყნებს ავღანეთიდან და ერაყიდან ჯარები გამოჰყავთ.

ამერიკას თანამედროვე იარაღის მიწოდება არაერთხელ სთხოვა ჩვენმა პრეზიდენტმა. ამ ინციატივით გამოვიდა რამდენჯერმე სენატორი მაკკეინიც.

საქართველოსა და ამერიკის სამხედრო თანამშრომლობაზე საკმაოდ საინტერესო მასალას აქვეყნებს გამოცემა „ატლანტიკი". ჯოშუა კუცერას მასალის თარგმანს საიტი „ფორეიგნპრესი" აქვეყნებს.

ჯოშუა კუცერას თქმით, საქართველო ყველა ღონეს ხმარობს, რათა რუსეთის წინააღმდეგ ამერიკული იარაღით შეიარაღდეს.

— მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა, ეს პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყანა აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე თავდადებული მოკავშირეა. მან ერაყსა და ავღანეთში ერთ სულ მოსახლეზე გათვლით ყველაზე მეტი სამხედრო გააგზავნა, თუმცა, მისსავე ორ ტერიტორიას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რუსეთის მტრული ძალები დაეუფლნენ. საქართველოს ძალიანაც არ ერიდებოდა იმის გამხელა, რომ საკუთარ წვლილს აშშ-ის სამხედრო მისიაში ისე აღიქვამდა, როგორც სამსახურს სამსახურის წილ. „ჩვენ ჯარისკაცები ვართ და ამერიკელ ჯარისკაცებს ვეხმარებით, მერე კი ამერიკა ჩვენს ქვეყანას დაეხმარება", — განუცხადა 2007 წელს „ნიუ იორკ ტაიმსს" ქართველმა კაპრალმა. ავღანეთში ქართველები ჰელმანდის სახიფათო პროვინციაში ნებაყოფლობით მსახურობენ, სადაც დღემდე 7 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. საპასუხო დახმარებად კი საქართველოს ის უნდა, რომ მისი მოსისხლე მტრის, რუსეთისგან დაიცვან და რუსების მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის აღდგენაში დაეხმარონ, მაგრამ ჯერჯერობით, აშშ-ს, გარდა რიტორიკისა, საქართველოსთვის დიდი ფაქტობრივი დახმარება არ გაუწევია. 2005 წელს საქართველოს ჯორჯ ბუში ეწვია და აქაურობას დემოკრატიის შუქურა უწოდა. გასულ თვეში აშშ-ის საზღვაო ქვეითთა გენერალმა ექსპანსიურად შეაქო ქართველების სამსახური ავღანეთში და აღნიშნა, ქართველებს ბრძოლა უყვართო, — ვკითხულობთ კუცერას წერილში.





მისი თქმით, სიტყვებს დიდი ფასი არა აქვს და ამ სიტყვათა განსამტკიცებლად ცოტა რამ იყო გაკეთებული.

— როდესაც 2008 წელს სამხრეთ ოსეთის გამო ომი ატყდა, მას შემდეგ, რაც სააკაშვილს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა, რომ ვაშინგტონი რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში საპასუხო ნაბიჯებს გადადგამდა, აშშ-მ მხოლოდ ის გააკეთა, რომ თავისი სამხედრო თვითმფრინავებით ერაყში მომსახურე ქართველი ჯარისკაცები შინ გადმოაფრინა, თუმცა, იმ დროს, როდესაც ჯარისკაცებმა საქართველოში ჩამოაღწიეს, ომი უკვე წაგებული იყო, — წერს გამოცემა.

სტატიაში საქართველოს ნატოსადმი მისწრაფებაზეც არის საუბარი. ავტორის თქმით, ამერიკა თბილისის მისწრაფებას მხარს უჭერდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

— რუსეთთან ომმა ნატო-ში გაწევრიანების სერიოზული შანსები დღის წესრიგიდან მოხსნა და მართლაც საქართველო კონფლიქტის დაწყების მომენტისთვის ნატო-ს წევრი რომ ყოფილიყო, ეს იძულებულს გახდიდა აშშ-სა და ნატო-ს დანარჩენ წევრებს, რუსეთისთვის ომი გამოეცხადებინათ, — ნათქვამია სტატიაში.

დღეს საქართველოში ნატოზე ისე აქტიურად აღარ საუბრობენ. ხელისუფლება უკვე ძალიან იშვიათად გვაძლევს პირობას, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარი საქართველოსთვის აუცილებლად გაიღება.

ნატოზე — აღარ, მაგრამ ამერიკულ შეიარაღებაზე ჩვენთან აქტიურად დაიწყეს საუბარი. არაერთხელ გაკეთდა განცხადება იმის შესახებ, რომ აშშ-ს საქართველო თავდაცვითი იარაღით მოემარაგებინა. ამ შემთხვევაში საუბარი იყო ანტისაჰაერო და ანტისატანკო სისტემებზე.

— საქართველოს დაუცველობა სიტუაციას არაფერს შემატებს. საქართველო რუსეთს თავს ვერ დაესხმება, მაგრამ დაუცველი საქართველო რუსეთისთვის დიდ ცდუნებას წარმოადგენს — ის ჩვენი ხელისუფლების შეცვლას სამხედრო ძალის გამოყენებით მოინდომებს. დღეს არსებული სამხედრო თანამშრომლობის ფარგლებში ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ აშშ თავდაცვითი შეიარაღების სიმძლავრეებით დაგვეხმარება, — განაცხადა „ნიუსვიკთან" საუბარში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

მოგვიანებით მან კიდევ უფრო გაამძაფრა რიტორიკა და განაცხადა, რომ მხოლოდ აშშ-ს შეუძლია საქართველოსთვის ისეთი შეიარაღების მიყიდვა, რომელიც მას თავდაცვისთვის სჭირდება.

— საქართველოს ისეთი რამ სჭირდება, რაც არსად მოიპოვება. ეს ანტისაჰაერო და ანტისატანკო შეიარაღებაა და აბსოლუტურად ცხადია, რომ ჩვენი თანამშრომლობის შემდეგი ეტაპი ეს უნდა გახდეს, — აღნიშნა საქართველოს პირველმა პირმა.

სტატიის ავტორის თქმით კი ამერიკა საქართველოსთვის შეიარაღების მიმწოდებელი თითქმის არ ყოფილა.

— აშშ არასდროს ყოფილა საქართველოს განსაკუთრებულად დიდი მომმარაგებელი. საქართველომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა აღჭურვილობა და შემდეგ სხვა ყოფილ საბჭოთა და ვარშავის პაქტის ყოფილ ქვეყნებზე იყო დამოკიდებული გადაიარაღების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ პენტაგონმა რამდენიმე სამხედრო წვრთნა საქართველოში ჩაატარა, ეს წვრთნები ქართულ ჯარს ერაყსა და ავღანეთში დისლოცირებისთვის ამზადებდა. მაგრამ ამერიკული შეიარაღების საკითხი ახლა იმისთვის ამოტივტივდა, რომ აშშ-საქართველოს ურთიერთობათა მდგომარეობა ზუსტად განისაზღვროს. საქმე ისაა, რომ საქართველო და მისი მოკავშირეები ვაშინგტონში ამტკიცებენ, რომ თუ აშშ საქართველოს შეიარაღებას არ მიაწვდის, ეს წარმოსახვითი „გადატვირთვის" გამო რუსეთისადმი მონური მორჩილების ტოლფასი იქნება, — წერს ჯოშუა კუცერა.

ამ თემაზე საუბრისას ის სენატორ მაკკეინსაც ახსენებს. მისი თქმით, ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი შეიარაღებით საქართველოს უზრუნველყოფის მთავარი ადვოკატია.

— იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს ჯერ კიდევ აქვს ოკუპირებული ტერიტორიები, რომლებიც ნამდვილად ქართულია და კვლავინდებურად ემუქრება საქართველოს, ჩემთვის რთულია იმის გაგება, რომ ჩვენ საქართველოს თავდაცვით იარაღსაც კი არ ვაწვდით. ეს გაუგებარია, — განაცხადა კონგრესში გამართულ მოსმენაზე სენატორმა მაკკეინმა.

სტატიაში ბათუ ქუთელიაზეც არის საუბარი. ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ მოულოდნელად გაათავისუფლეს ამერიკაში საქართველოს ელჩობიდან. მისი ადგილი როყიო გამონათქვამებით სახელგანთქმულმა თემურ იაკობაშვილმა დაიკავა.

რაც შეეხება ქუთელიას, კუცერას ინფორმაციით, ის თანამდებობიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ მან ვერ შეძლო შეიარაღების მიღება ამერიკიდან.

— საქართველომ გასულ წელს მარტოოდენ ოთხ ყველაზე წარმატებულ ლობისტურ ფირმას ვაშინგტონში 41.5 მილიონი გადაუხადა, რითაც ბევრად გაუსწრო თავისი კატეგორიის ქვეყნებს. ამ ლობისტურ ძალისხმევაში შედიოდა პრესაში აგრესიული კამპანია, რომელიც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა დე-ფაქტო ემბარგო დააწესა საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე იმ დროს, როდესაც ამგვარი ემბარგოს დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობდა, — ნათქვამია სტატიაში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჯოშუა კუცერას ერთი კითხვა ებადება. მას აინტერესებს, საქართველო შეიარაღების ყიდვას აპირებს თუ სურს, აშშ-მ შეიარაღება მას დახმარების სახით მისცეს.

— როდესაც ამ კითხვით საქართველოს ოფიციალურ პირებს მიმართავენ, ისინი პასუხს გაურბიან და ამბობენ, რომ დისკუსია ასე შორს ჯერ არ შესულა, მაგრამ საქართველოსთვის იარაღის შესყიდვაზე ნებართვის მიცემა სხვა საკითხია, ხოლო აშშ-ის გადასახადის გადამხდელთა მიერ მათი შეიარაღების დაფინანსება — სხვა, თუმცა, ციფრები იმის ვარაუდს აჩენს, რომ საქართველო ვერასდროს შეძლებს, დამოუკიდებლად შეიძინოს ამერიკული აღჭურვილობა. საქართველო ღარიბია, ხოლო ამერიკული იარაღი — ძვირი. საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი 2011 წლისთვის დაახლოებით 4370 მილიონია, შესყიდვებისთვის მისი ერთი მესამედის 4123 მილიონის გამოყენებაა შესაძლებელი. იმისთვის, რომ ერთი შედარება მაინც მოვახდინოთ, გაერთიანებულმა არაბულმა საემიროებმა ახლახან აშშ-ის საჰაერო-თავდაცვითი შეიარაღების შესაძენად 47 მილიარდი დახარჯეს. მხოლოდ ერთი ანტისაზენიტო სარაკეტო სისტემა, „პატრიოტი", დაახლოებით 46 მილიონი ღირს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთელი თავისი წლიური ბიუჯეტით მხოლოდ 20 სარაკეტო სისტემის ყიდვა შეეძლება, აღარაფერს ვამბობთ სატყორცნ დანადგარებზე, რადარებსა და სხვა საკვანძო კომპონენტებზე, — წერს კუცერა.

მისი თქმით, თუ საქართველოს მართლა სურს საკუთარი ფულით იარაღის შეძენა, მაშინ, უკეთესი იქნება, თუ ის შეიარაღების უფრო იაფ წყაროს მიაგნებს.

რუსეთმა საქართველოს ბევრი ყოფილი მომმარაგებელი განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპასა და ისრაელში შეაშინა და მათ საქართველოსთან თანამშრომლობის დამთავრება მოსთხოვა, მაგრამ, სხვა მწარმოებლები, ისეთები, როგორებიც არიან ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია ან თურქეთი, ნამდვილად შეძლებენ საქართველოსთან თანამშრომლობას.

— მაგრამ, არც ისაა გარკვეული, რამდენად არგებს საქართველოს კბილებამდე შეიარაღება. რუსეთის სამხედრო ძალა იმდენად ძლიერია ქართულზე, რომ დამატებითი შეიარაღება საკამათო საკითხია. უფრო უარესიც: მიუხედავად იმისა, რომ, საქართველოს არაერთი განცხადების თანახმად, ის მხოლოდ „თავდაცვითი" შეიარაღების მიღებას ცდილობს, ნებისმიერი თავდაცვითი შეიარაღება აადვილებს აგრესიას იმით, რომ კონტრშეტევის წინააღმდეგ მიმართულ თავდაცვას აუმჯობესებს. საქართველო ბევრს ლაპარაკობს რუსული შეტევის საფრთხეზე, მაგრამ, რეალურად ეტყობა, იმ რწმენით რუსეთი არაფერს მოიმოქმედებდა. პირველად საქართველომ გაისროლა 2008 წელს, რამაც დააჩქარა კიდეც 2008 წლის ომი რუსეთთან, — ვკითხულობთ სტატიაში.

კუცერა გორი ველტისა და სამუელ ჩარიპის მიერ გამოქვეყნებულ სტატიასაც იხსენებს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს შეიარაღებით მომარაგება მარადიული კონფლიქტის მენტალიტეტს სამუდამოდ შეინარჩუნებდა და გზას გადაუღობავდა იმ ნაბიჯებს, რომლებიც საქართველოს მართლა სჭირდება თავის დაკარგულ ტერიტორიებთან, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებით.

ველტი და ჩარაპი წერდნენ, რომ ეს არის ნელი, მტკივნეული პროცესი, რომელიც, კონფლიქტის ტრანსფორმაციას შედეგად, ჩააცხრობს დაძაბულობას, კონფლიქტის ხაზებზე მცხოვრებ ადამიანებს ერთმანეთთან დააახლოებს, შექმნის ნდობას, სავაჭრო კავშირებს და ხელისუფლებებს შორის დაარეგულირებს ურთიერთობას.

— სინატიფეს სააკაშვილის ძლიერ მხარედ ვერ დავასახელებთ. ამერიკული შეიარაღება ადგილზე ვერაფერს შეცვლის, მაგრამ გახდება ხელშესახები ნიშანი დასავლური მხარდაჭერისა, რაც სააკაშვილს აშკარად დაჟინებით სურს. გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ, შეერთებული შტატების სხვა მოკავშირეებთან შედარებით, შესაძლოა, ყველაზე მეტი გააკეთა და ყველაზე ნაკლები მიიღო ჯილდოდ, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ეს არ გამოდგება იმის არგუმენტად, რომ საქართველო უფასო სარაკეტო სისტემებით მოვამარაგოთ. ეს, უბრალოდ, სიტუაციას კიდევ უფრო ტრაგიკულს ხდის, — მიიჩნევს კუცერა.



# რუსეთი ვმო-ში საქართველოს თანხმობის გარეშე გაწევრიანდება

გერა მამულაშვილი

მსოფლიო თანამეგობრობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი ერთგულებას კვლავ ადასტურებს და მოსკოვთან ღია უთანხმოებაზე საუბრობს. მორიგი მხარდამჭერი განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა გააკეთა. ანდერს ფოგ რასმუსენი კრემლთან „პრინციპულ უთანხმოებაზე“ და „საერთაშორისოდ აღებული ვალდებულებების“ შესრულების აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას. ხოლო აშშ-ს კონგრესი საქართველოს მთლიანობასთან დაკავშირებით მორიგი მხარდამჭერი რეზოლუციის მიღებას აპირებს.

თუმცა, რა გავლენა აქვს რუსეთის პოლიტიკაზე ამ გამოსვლებს, ეს თუნდაც უახლესმა წლებმა გვიჩვენა. ამ ფონზე, ამერიკის პროგრესის ცენტრის ექსპერტებმა საქართველოს კონფლიქტებში პროგრესის მოკლე ვადებში მიღწევის გეგმა წარმოადგინეს. მათი მთავარი იდეა არახალია — ჩართულობა აღიარების გარეშე. იგი ხალხებს შორის ნდობის აღდგენას ითვალისწინებს.

აქვე გაისმის შემდეგი ფრაზა — თუ ჩართულობა არ გამოგვივიდა, მაშინ ხელს შევუწყობთ „აღიარების“ პროცესს. ამასთან, ზოგიერთ ექსპერტს რჩება შთაბეჭდილება, რომ პროგრესცენტრის რეკომენდაციების მიხედვით, ამერიკული მხარე რუსეთთან შედარებით ქართულ მხარეს უფრო მეტ ვალდებულებებს ანიჭებს. პაატა ზაქარეიშვილის შეფასებით კი, ხელისუფლებამ ორი კონფლიქტი უკვე სამად აქცია.

ფაქტი ერთია, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები კიდევ უფრო ბურუსით მოცული გახდა. ამ გზაზე კი ქვეყნის შიგნით დემოკრატიზაციას და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. დასავლეთიც სწორედ ამაში და აფხაზებთან და ოსებთან უშუალო დიალოგის წარმოებაში ხედავს ერთ-ერთ გამოსავალს.

ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი საქართველოს შესახებ აშშ-ში ტურნეს ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე საუბრობს.

გენერალურმა მდივანმა საქართველოს საკითხზე გუშინ ჩიკაგოს უნივერსიტეტის ჰარისის სკოლაში გამოსვლისას დროს ისაუბრა. მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველო ნატო-სთვის კვლავ რჩება რუსეთთან პრინციპული უთანხმოების მიზეზად.

— კვლავ მტკიცედ ვადასტურებთ ჩვენს მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. მოვუწოდებთ რუსეთს, საერთაშორისოდ აღებული ვალდებულებების შესაბამისად იმოქმედოს. ჩვენ არ უნდა გავექცეთ ამ უთანხმოებების განხილვას, მაგრამ ამან ჩვენი პარტნიორობის პარალიზება არ უნდა მოახდინოს, — განაცხადა რასმუსენმა.

ჯორჯიაში, დობინსის საჰაერო ძალების ბაზაში სტუმრობისას კი გენერალურმა მდივანმა იმ როლზე ისაუბრა, რომელსაც ქართველი ჯარისკაცები ავღანეთის ოპერაციაში ასრულებენ.

— ჯარისკაცები ამერიკის შტატ ჯორჯიანად და ქართველები საქართველოს რესპუბლიკიდან საფრანგეთისა და პოლონეთის ჯარებთან ერთად პატრულირებენ ავღანეთის სოფლებში, — განაცხადა რასმუსენმა.

გენერალურმა მდივანმა აშშ-ში ტურნე 7 მაისს დაიწყო. 13 მაისისთვის დაგეგმილია რასმუსენისა და აშშ-ს პრეზიდენტის ბარაქ ობამას შეხვედრა.

ამერიკის პროგრესის ცენტრის ექსპერტებმა კი, საქართველოს კონფლიქტებში პროგრესის მოკლე ვადაში მიღწევის გეგმა შეიმუშავეს. პროგრამა სახელწოდებით „საქართველოს კონფლიქტებში პროგრესის მოკლე ვადაში მიღწევის გეგმა“ ქართულ ენაზე „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრის“ ორგანიზებით ითარგმნა და გამოიცა.

ამერიკელი ექსპერტების, კორი უელტისა და სამუელ ჩარაპის მიერ მომზადებული კონცეფციის პრეზენტაცია სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელმა, გოგი ხუციშვილმა გამართა.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, ავტორები საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებას კონფლიქტში პროგრესის მიღწევის მიზნით სთავაზობენ გარკვეულ რეკომენდაციებსა და იდეას „ჩართულობა აღიარების გარეშე“.

— ჩართულობა არ ნიშნავს აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებას, არც ევროპაში მათ ეკონომიკურ ინტეგრაციას. არამედ ეს მხარეებს შორის ნდობის აღდგენას, ხალხებს შორის ურთიერთობების დამყარებას და ისეთი გზების გამონახვას გულისხმობს, რომელიც მათ საქართველოსთან დააახლოებს, — განუცხადა გოგი ხუციშვილმა „ჯი-ეიჩ-ენს“.

მისი განმარტებით, „თუ არ გამოგვივიდა ჩართულობა, ამით აღიარების პოლიტიკას შევუწყობთ ხელს“.

— თუ ჩართულობა არ გამოვა, წავა აღიარების პროცესი და ეს ნათელია, — განმარტა ხუციშვილმა.

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს კონფლიქტში პროგრესის მიღწევის გეგმას, ავტორები სამ ძირითად მომენტზე ამახვილებენ ყურადღებას. პირველი: რუსეთმა შეასრულოს საქართველოს მიმართ აღებული ვალდებულები, მეორე: საქართველოსა და აფხაზეთს, საქართველოსა და ცხინვალს შორის გაფორმდეს ჰუმანიტარულ და ადამიანის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები და მესამე: საქართველოსა და რუსეთს შორის შეიცვალოს ურთიერთობების დინამიკა.

როგორც ხუციშვილი აცხადებს, ამერიკელი ექსპერტების მიერ შემუშავებული გეგმა საქართველოს მთავრობას უკვე გადაეგზავნა, თუმცა, ის კონცეფციის სათაურთან დაკავშირებით უკმაყოფილოა.

— ამ გეგმას საქართველოს ხელისუფლების უკმაყოფილება მოჰყვა. კერძოდ, მთავრობა იმას აპროტესტებს, რომ კონცეფციის სათაურში გამოყენებულია სიტყვა „კონფლიქტები“ (იგულისხმება რუსეთთან, აფხაზეთთან და ცხინვალთან) და ქართული მხარის მსგავსად, მისი ავტორები არ მიიჩნევენ, რომ საქართველოს კონფლიქტი მხოლოდ რუსეთთან აქვს,

— აღნიშნა ხუციშვილმა პრეზენტაციისას.

ამერიკის პროგრესის ცენტრის ექსპერტების მიერ მომზადებული აღნიშნული გეგმის პრეზენტაცია მოსკოვშიც გაიმართება.




თავის მხრივ, საერთაშორისო საკითხებში ექსპერტ კახა გოგოლაშვილის შეფასებით, აშშ-ის პროგრესის ცენტრის მიერ საქართველოს კონფლიქტებთან დაკავშირებით მომზადებულ გეგმა დისპროპორციულია.

როგორც ექსპერტმა ანგარიშის, სახელწოდებით „საქართველოს კონფლიქტებში პროგრესის მოკლე ვადაში მიღწევის გეგმა“ პრეზენტაციისას განაცხადა, მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ აშშ საქართველოს მეტ ვალდებულებას აკისრებს, ვიდრე რუსეთს.

— ნეიტრალური აქტორისგან მსგავსი მოთხოვნები მიკერძოებულობის ეჭვებს ბადებს. იმავე ვიზებთან დაკავშირებით საქართველოს მიმართ მოცემულია რეკომენდაცია, რუსეთის მოქალაქეებისთვის უფასო ვიზები შემოიღოს, ხოლო რუსეთისადმი — მხოლოდ ის, რომ ვიზის საფასურის შემცირების შესახებ იმსჯელოს. აქცენტები საქართველოზე ასიმეტრიულადაა გადატანალი, დისპროპორციულობის პრინციპის დამკვიდრება კი არასწორია, — განაცხადა გოგოლაშვილმა.

კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყანაში არსებული ორი კონფლიქტი სამად აქცია.

— მართალია ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მხოლოდ ერთი კონფლიქტი აქვს — რუსეთთან, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ჩვენმა მთავრობამ მოახერხა და ორი კონფლიქტი სამად აქცია (აფხაზეთსა და ცხინვალთან). ევროკავშირის წარმომადგენელმა პიტერ სემნებიმ, როცა უფლებამოსილება ამოეწურა და თბილისიდან გამგზავრებას აპირებდა, პირდაპირ თქვა, რომ უნდა ვიპოვოთ პირდაპირი კავშირები აფხაზებთან და ოსებთან. ჰანს იორგ ჰაბერმაც იგივე გაიმეორა და სხვათაშორის, მანაც მანდატის ამოწურვის შემდეგ. ეტყობა მანამდე ხმას ვერ იღებდნენ ან მათი არავის ესმოდა, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა ამერიკის პროგრესის ცენტრის მიერ საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით მომზადებული ანგარიშის პრეზენტაციის ფარგლებში გამართული დისკუსიისას.

აღნიშნულის კონტექსტში, კონფლიქტოლოგმა „მანკიერი და „მიუღებელი“ უწოდა საქართველოს ხელისუფლების მცდელობას, ქვეყანაში მხოლოდ ერთადერთი კონფლიქტი წარმოაჩინოს.

— 2005 წლის თებერვალში გავიგე პირველად ტერმინი „რუსეთთან კონფლიქტი“. ეს მანკიერი და მიუღებელი პოზიცია გრძელდება ახლაც. ეს უნდა დამთავრდეს. რეალობა უნდა ვაღიაროთ. კონფლიქტები გვაქვს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთანაც. საჭიროა შევასუსტოთ რუსული გავლენები და დავიწყოთ რუსეთისთვის ამ რეგიონების გამოგლეჯა. ჩვენ გვაქვს ამის რესურსები. უამრავი სფეროა, სადაც რუსეთს არაფერი ესაქმება. ასობით კონკრეტული ნაბიჯის გადადგმა შეიძლება, რომ ეს ხალხი შემოვირიგოთ და ერთად ვიმოძრაოთ ევროპის მიმართულებით. მაგალითად, წყლის და გაზის მიწოდება, — აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

ბოლო ხანს, კონფლიქტების გადაწყვეტის გზებზე მედიასთან ბევრს საუბრობს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მისი თქმით, თვითონ, ჰეიდარ ალიევი და კარენ დემირჩიანი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, აქამდე აფხაზეთის და ყარაბაღის პრობლემები გადაწყდებოდა.

— იმ ადამიანთაგან, რომლებსაც ყარაბაღისა და აფხაზეთის პრობლემების მოგვარება შეეძლოთ, ცოცხალი მხოლოდ ერთია. ამიერკავკასიაში იყო სამი სერიოზული ხელმძღვანელი, რომლებსაც ქვეყანაში სიტუაციის კონტროლი შეეძლოთ — ჰეიდარ ალიევი, კარენ დემირჩიანი და ედუარდ შევარდნაძე. ეს განცხადება საქართველოს ექს-პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ „ვესტი. აზ“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

— აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა ჰეიდარ ალიევის დამსახურებაა. მას სახელმწიფოს მმართველობის უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდა. ეს ერთი. მას ჰქონდა მოსკოვის დიდი მხარდაჭერაც, მას მხარს პოლიტბიუროს რამდენიმე წევრი უჭერდა. აზერბაიჯანს, საქართველოსგან განსხვავებით, უფრო უჭირდა, დამოუკიდებლად დარჩენილიყო. ამას ყარაბაღის პრობლემაც დაემატა. სამივე მჭიდრო თანამშრომლობაში ვიმყოფებოდით ერთმანეთთან. ჩვენ რომ სახელმწიფოთა მეთაურები ვიყოთ, არავითარი უთანხმოება არ იქნებოდა. დემირჩიანი ტერორისტებმა პარლამენტში მოკლეს და ეს ძალიან დასანანია. ის რომ ცოცხალი იყოს და ჰეიდარ ალიევიც ჩვენთან იყოს, ყარაბაღისა და აფხაზეთის საკითხები უკვე დიდი ხანია გადაიჭრებოდა, — აცხადებს შევარდნაძე.

რაც შეეხება, აშშ-ს კონგრესის მიერ საქართველოს მთლიანობაზე მხარდამჭერი რეზოლუციის შესაძლო მიღებას, ამაზე მოსკოვიდან რეაქციამ არ დააყოვნა.

— აშშ-ს პოზიცია ვერ შეცვლის რუსეთის პოლიტიკას დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან — აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში. ეს განცხადება რუსეთის დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ აშშ-ს კონგრესში რეზოლუციის შესაძლო მიღების კომენტირებისას გააკეთა.

— ჯერჯერობით არ მაქვს საშუალება იმ რეზოლუციის პროექტის ტექსტს გავეცნო, რომელიც სანატორებმა კონგრესში განსახილველად შეიტანეს, თუმცა, მიხვდე თუ რა ეწერება მასში, არცთუ ისე ძნელია. ამიტომაც ვიტყვი, რომ ამ დოკუმენტში, თუნდაც მაქსიმალურად მკაცრ და ხისტ ტონში იყოს განმეორებული აშშ-ს ცნობილი პოზიცია 2008 წლის მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც კარდინალურად განსხვავდება რუსეთის შეფასებასთან ამ საკითხთან მიმართებაში, იგი ვერ შეცვლის თანმიმდევრულ და ნაყოფიერ თანამშრომლობას რუსეთსა და აშშ-ს შორის, — აცხადებს კონსტანტინ კოსაჩოვი.

მისივე თქმით, ნებისმიერ პარლამენტს, მათ შორის აშშ-ს კონგრესსაც აქვს უფლება პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით განცხადებები მიიღონ, თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ „ახლა ამ ორი სენატორის ასეთი ინიციატივა, რომლებიც აშშ-ს დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიებს წარმოადგენენ სრულიად არადროულია“.

მორიგ აგრესიულ განცხადებას აკეთებს რუსეთის გეოპოლიტიკური აკადემიის პრობლემების პრეზიდენტი ლეონიდ ივაშოვი. მისი თქმით, როდესაც მსოფლიო პოლიტიკის უმსხვილესი მოთამაშეები გავლენის მოპოვების გამო ერთმანეთს დაეტაკებიან, საქართველოსგან აღარაფერი დარჩება.

— სააკაშვილი ოკეანის გაღმიდან თავისი პარტნიორების თანხმობის მიღების გარეშე არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამს. აშშ-ში მოქმედ გარკვეულ ძალებს სურთ, რომ რუსეთს გამუდმებით ვინმე აღიზიანებდეს, აბრაზებდეს, მის პოტენციალს ასუსტებდეს და სწორედ ასეთ მარიონეტად არის არჩეული სააკაშვილი. რა თქმა უნდა, იგი პროვოკაციებს გააგრძელებს, მაგრამ მე ვფიქრობ, რუსეთს აქვს საკმარისი ძალა და საშუალება იმისთვის, რომ ყოველივე ეს გაანეიტრალოს, — აცხადებს ივაშოვი და ყურადღებას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე და საქართველოს როლზე ამახვილებს.

— დღეს მსოფლიოში ისეთი პროცესები მიმდინარეობს, რომელთა შედეგადაც სახელმწიფოები, ისეთი დიდებიც კი როგორიც შეერთებული შტატებია, უკვე აღარ არიან მსოფლიო ისტორიული პროცესების დამოუკიდებელი სუბიექტები. დღეს ასპარეზზე გამოდიან სხვადასხვა გაერთიანებები და იმედი, რომ საქართველო დარჩება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომელიც არავისი გავლენის ქვეშ არ მოექცევა, ფუჭია — ასეი რამ არ იქნება, — აცხადებს ივაშოვი და აღნიშნავს, რომ საქართველო, თავისი სტრატეგიული პარტნიორობის ვექტორის შეცვლით, შესაძლოა მძლავრი მსოფლიო მოთამაშეების გავლენის ქვეშ მოექცეს.

— ჩვენ ვხედავთ, რომ ახლოს არის მძლავრი მოთამაშე თურქეთის სახით, რომ ევროპაც იბრძვის კავკასიისთვის, აშშ, აქვეა ირანიც, რომელსაც არ სურს ამერიკელები აკონტროლებდნენ და მართავდნენ საქართველოს და როდესაც ეს ძალები ერთმანეთს დაეტაკებიან, საქართველოსგან ბუმბულიც არ დარჩება — აი, რაშია სააკაშვილის ტრაგედია, — აცხადებს ლეონიდ ივაშოვი.

ერთადერთი სივრცე, სადაც საერთაშორისო თანამეგობრობა მოსკოვისგან შედარებით კონსტრუქციულ ქცევას მოელოდა, რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებული ჟენევის მოლაპარაკებებია. თუმცა, რუსული დიპლომატიის მთავარი „ქორი“ სერგეი ლავროვი ჯიუტად იმეორებს, რომ „ვმო-ში რუსეთის წევრობა საქართველოს თანხმობის გარეშეც შეიძლება“.

— ქართველმა კოლეგებმა ჩემი კომენტარები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გვერდის ავლით რუსეთის წევრობასთან დაკავშირებით ბოდვად ჩათვალეს, მაგრამ ალბათ ეს იმ ადამიანებმა გააკეთეს, ვინც ორგანიზაციის დოკუმენტაციას არ იცნობს, — განაცხადა რუსეთის საგარეო მინისტრმა კითხვაზე პასუხის გაცემისას, მართლა აპირებს თუ არა მოსკოვი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გვერდის ავლით გაწევრიანებისთვის ამ საკითხის კენჭისყრაზე დაყენებას.

— ჯერჯერობით ჩვენ ქართულ მხარესთან კონსულტაციებს შვეიცარიული მხარის დახმარებით ვაწარმოებთ. არსებითად პრობლემა, რომელსაც საქართველო ქმნის, პოლიტიკურია. ყველა დანარჩენი საკითხი ვმო-ს რეჟიმთანაა დაკავშირებული და საექსპერტო დონეზე გადაწყვეტას ექვემდებარება, — აცხადებს სერგეი ლავროვი გაზეთ „ვრემია ნოვოსტეისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და აღნიშნავს, რომ კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რაც ადრე ითქვა.

— შემიძლია დაგიდასტუროთ, რაც ადრე მითქვამს, ვმო-ს წესები გულისხმობს ქვეყნების მიღებას ორგანიზაციის წევრად კონსენსუსის არარსებობის შემთხვევაშიც კი. ქართველმა კოლეგებმა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემ მიერ გაკეთებული კომენტარი ბოდვად ჩათვალეს, მაგრამ ალბათ ეს გააკეთეს მათ, ვინც არ იცნობს ვმო-ს დოკუმენტებს და იმასაც, რომ ასეთი პრეცედენტი არსებობს. ვმო-ს წესები ორგანიზაციის წევრობას ხმის მიცემის წესითაც გულისხმობს, — აცხადებს სერგეი ლავროვი.

აი, ასეთი „დიპლომატიური პასუხები“ აქვს მოსკოვს დასავლეთის მოწოდებებზე, რომ პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. სადამდე მიგვიყვანს ასეთი პოლიტიკა და დამოკიდებულება კრემლის მიმართ, ამის განსაზღვრა ძნელი არ უნდა იყოს. თუნდაც ასეთი ფონიდან გამომდინარე, ქვეყანას სწრაფი ტემპით დემოკრატიზაციის გაღრმავება და ზოგადი განვითარება სჭირდება. თუმცა, დღევანდელ პოლიტიკურ ელიტას ხელისუფლებაში მარად დარჩენა, თუ მოსვლა უფრო აინტერესებს, ვიდრე რეალური პერსპექტივების გაჩენა, სასიცოცხლო საკითხების გადასაწყვეტად.

# სუხიშვილების „ასსა“ საქველმოქმედოა

სუხიშვილების გახმაურებული კომერციული პროექტი „ასსა“ პირველად ჩაერთო ქველმოქმედებაში. ამ ფაქტთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროში სუხიშვილების წარმომადგენლებმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს და ჟურნალისტებს კონცერტის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ. მათთან ერთად პრესკონფერენციას ფონდის „ხელოვანები თანადგომისათვის“ თავმჯდომარე ციცი იაშვილიც ესწრებოდა.

სუხიშვილების კონცერტები ფონდის „ხელოვანები თანადგომისათვის“ ეგიდით 13 და 14 მაისს თბილისის „ივენთ ჰოლში“ გაიმართება, რითაც მოცეკვავეები ფონდს თანადგომასა და სრულ მხარდაჭერას უცხადებენ.

როგორც პრესკონფერენციაზე სუხიშვილების გენერალურმა დირექტორმა ნინო სუხიშვილმა განაცხადა, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა „ასსა“ ქველმოქმედებაში ერთვება. როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრისას გაირკვა, ანსამბლი ხშირად ატარებს საქველმოქმედო კონცერტებს, მოცეკვავეები უფასოდ ასწავლიან ცეკვას წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს. თუმცა „ასსას“ სუხიშვილები პირველად წარმოადგენენ საქველმოქმედო მიზნით.

„ხელოვანები თანადგომისთვის“ ფონდის ეგიდით საქართველოში ფუნქციონირებს 12 ხელოვნების სკოლა, სადაც 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად დევნილი ბავშვები ხელოვნების სხვადასხვა დარგს უფასოდ სწავლობენ. სკოლებში დასაქმებულნი არიან დევნილი მასწავლებლებიც.

რაც შეეხება სუხიშვილების მიერ გამართულ ორ საქველმოქმედო კონცერტს, ღონისძიებებიდან შემოსული თანხა წეროვნის ხელოვნების სკოლას მოხმარდება. მათი სურვილის გათვალისწინებით, სკოლას რამდენიმე წრე შეემატება. ფონდი „ხელოვანები თანადგომისთვის“ ქართველ ხელოვანებთან ერთად რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას აპირებს. ფონდის მხარდამჭერი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროა.

**ნინო სუხიშვილი, ანსამბლის გენერალური დირექტორი:**

— ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც კომერციული პროექტი „ასსა“ ქველმოქმედებაში ერთვება. ჩვენი პროექტი უკვე ათი წლისაა და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართველ საზოგადოებაში. თბილისის „ივენთ ჰოლში“ დაგეგმილ კონცერტზე წარმოდგენილი იქნება როგორც ქართული, ასევე მსოფლიო ცეკვები, რადგან ეს პროექტი ყველა ქვეყნისა და ხალხთა ცეკვებს აერთიანებს. ჩვენ ამ პროექტის პრეზენტაცია თებერვალში გვქონდა და საზოგადოების შეფასებებმა და რეაქციამ დაგვარწმუნა, რომ „ასსა“ კარგი პროექტია. თბილისის „ივენთ ჰოლში“ მოსული მაყურებელი განახლებულ „ასსას“ ნახავს. ანსამბლი მაყურებელს ქართულ ცეკვებთან ერთად მსოფლიო ჰიტების ახლებურ არანჟირებასა და ცეკვებს წარუდგენს, რომლებიც ქართული ტრადიციული ელემენტებით იქნება გაჯერებული.



***— ფონდთან „ხელოვანები თანადგომისთვის“ დიდი ხანია თანამშრომლობთ?***

— ჩვენ მათ ღონისძიებებში არაერთხელ მიგვიღია მონაწილეობა. ჩვენი ანსამბლი დღესაც განაგრძობს ფონდთან მჭიდრო ურთიერთობას და მის მხარდასაჭერად მომავალშიც გეგმავს საქველმოქმედო საღამოების გამართვას დევნილი ბავშვების განათლება-განვითარებისთვის.

**ციცი იაშვილი, ფონდის „ხელოვანები თანადგომისთვის“ ხელმძღვანელი:**

— ძალიან სასიამოვნოა, როცა ფონდს ასეთ მხარდაჭერასა და ნდობას უცხადებენ. სუხიშვილების მიერ ჩატარებული ორივე კონცერტიდან შემოსული თანხა წეროვანში მცხოვრები ბავშვებისთვის დაიხარჯება. მათ ახალი წრეები შეემატებათ, რაც საშუალებას მისცემს, საკუთარი ცოდნა და განათლება კიდევ უფრო გაიღრმავონ. ნამდვილად მნიშვნელოვანია, რომ თანხა დევნილი ბავშვების განათლებას მოხმარდება. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ფონდი „ხელოვანები თანადგომისათვის“ ამიერკავკასიაში ერთადერთი საქველმოქმედო ფონდია, რომელიც ხელოვნების კუთხით ბავშვების განათლებაზეა ორიენტირებული.

**სოფო აბულაძე, ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე:**

— „ასსა“ ძალიან პოპულარული და, ამავე დროს, საინტერესო პროექტია. ჩვენ მივესალმებით სუხიშვილების ინიციატივას, რომ ორი კონცერტი დაუთმონ ქველმოქმედებას და შემოსული თანხით წეროვანში მცხოვრები ადამიანების ცხოვრება შეცვალონ. ვინაიდან ეს ორი კონცერტი მთლიანად ქველმოქმედებას ეძღვნება, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მისი ორგანიზება საკუთარ თავზე აიღო და მათ ბოლომდე მხარს დაუჭერს.

# ფესტივალი „ქართული სული“ იწყება

ქართული ხელოვნების ფესტივალი „ქართული სული“ 13 მაისს აიღებს სტარტს და იგი მესხეთში — ვალესა და ახალციხეში თამარ მეფისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ორდღიანი კონფერენციით გაიხსნება.

ფესტივალის ფარგლებში, ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, სოფელ არალის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში თამარ მეფისადმი მიძღვნილი სავედრებელი პარაკლისი შესრულდება.

„ქართული სული“ 24 მაისს თბილისში გაგრძელდება. მერაბ ბერძენიშვილის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართება, რომლის დასრულების შემდეგაც სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსხმული ცქრიალა ღვინო „გალაკტიონის“ დეგუსტაციაც მოეწყობა.

ფესტივალის დამაგვირგვინებელი აკორდი 9 ივნისს არის დანიშნული. „ქართული სული“ ანსამბლ „ქართული ხმების“ 25 წლის იუბილეს საგანგებო კონცერტს მიუძღვნის. ღონისძიებაზე განსაკუთრებული სითბოთი გაიხსენებენ ანსამბლის ოთხ გამორჩეულ წევრს — ზაურ ბოლქვაძეს, გოგი დოლიძეს, გურამ თამაზაშვილსა და დავით გოგიაშვილს, იგივე თავგასას, რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან. წლევანდელი ფესტივალი სახვით ხელოვნებასაც მოიცავს. მისმა ორგანიზატორებმა ქართველ მხატვართაგან არჩევანი ყველასთვის გამორჩეულ და საყვარელ შემოქმედ ზურაბ ნიჟარაძეზე შეაჩერეს. გალერეა „ვერნისაჟში“ 2-დან 7 ივნისის ჩათვლით ზურაბ ნიჟარაძის ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა.

ფესტივალი „ქართული სული“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტარდება. „ქართული სული“ საქართველოში 2004 წლიდან იმართება. თავდაპირველად მას ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ფესტივალის სახე ჰქონდა, თუმცა, დროთა განმავლობაში ქართული კულტურის ყველა სფერო მოიცვა. ფესტივალის ორგანიზატორთა სურვილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და მისი მომავალ თაობებში პოპულარიზაციაა.

# კულტურის სამინისტროში პრეზენტაცია გაიმართება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 13 მაისს ქართველი მხატვრის ვაჟა მელიქიშვილის პირველი კატალოგის პრეზენტაცია გაიმართება. XX საუკუნის ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის ვაჟა მელიქიშვილის 75 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა კატალოგი, რომელიც მხატვრის მთელ შემოქმედებას მოიცავს. მასში ასახულია მხატვრის მთელი შემოქმედებითი გზა, ის ნამუშევრებიც კი, რომლებიც დღეს აღარ არსებობს.

ვაჟა მელიქიშვილი ავტორია მნიშვნელოვანი კომპლექსებისა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ — გამარჯვების სტელა, აკაკი წერეთლის მემორიალი, შინმოუსვლელთა „გრანდიოზული მემორიალი სენაკში“ — „დიდების კუბი“. მას ეკუთვნის ბარელიეფების სერია — „დოვლათი“, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში განთავსებული „თბილისური მოტივი“, თბილისის სიონის კარიბჭისათვის შექმნილი, სახარების მოტივებზე აგებული კომპოზიცია „ღვთისმშობელი ყრმით“. მოქანდაკის შექმნილია ქართველი მოღვაწეების შალვა დადიანის, ვალერიან გუნიას, ნესტორ კალანდარიშვილის პორტრეტები, მიხეილ თამარაშვილის ქანდაკება და 120-ზე მეტი ფიგურა.

ვაჟა მელიქიშვილის სახელს უკავშირდება ქართული წიგნის მხატვრობის განვითარების სრულიად ახალი ეტაპი. წიგნის გრაფიკის თვალსაზრისით გამორჩეულია ირაკლი აბაშიძის ცნობილი წიგნი „რუსთაველის ნაკვალევზე“, ასევე მისი ილუსტრაციები მეფე ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის „ქილილა და დამანას“ გამოცემისთვის. ვაჟა მელიქიშვილის დროებით მოხსნილი ქანდაკება „მოლოდინი — მწუხარე დედა“ რამდენიმე დღეში ისევ რუსთაველზე, ეროვნული გალერეის წინ აღიმართება.

*რუბრიკა მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# „ლა სკალას“ მენეჯერი თბილისს ეწვევა

13 მაისს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს სამდღიანი შემოქმედებითი ვიზიტით მილანის „ლა სკალას“ აკადემიის საერთაშორისო პროექტების განვითარების მენეჯერი, ცნობილი მუსიკალური მოღვაწე ლუკა ტარჯეტი ეწვევა. მისი სტუმრობის მიზანი საქართველოს მუსიკალურ-შემოქმედებითი პოტენციალის ახლოს გაცნობა და საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, ტაჯიკეთიდან „ლა სკალას“ აკადემიაში სტაჟირების მსურველ მომღერალთა შესარჩევი მოსმენაა.

მსურველთა მოსმენა 14-15 მაისს მთავრობის კანცელარიის დარბაზში გაიმართება, სადაც ოპერის თეატრის რეკონსტრუქციის პერიოდში სარეპეტიციო საქმიანობას ეწევიან ოპერის თეატრის გუნდი, სიმფონიური ორკესტრი და სოლისტები.

ოპერის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **ზურაბ ოიკაშვილმა** განაცხადა:

— „ლა სკალას“ აკადემიის გამოცდებისწინა შესარჩევი მოსმენის გამართვა თბილისში სპეციალურად აღნიშნული ქვეყნების მომღერლებისთვის უპრეცედენტო შემთხვევაა, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო საოპერო თეატრმა „ლა სკალამ“ ამ რეგიონში აქტიური პარტნიორობისთვის ყურადღება შეაჩერა სწორედ საქართველოზე, კერძოდ, თბილისის ოპერის თეატრზე, რომლის პოტენციური განვითარების პერსპექტივა სწორად განჭვრიტა „ლა სკალას“ ხელმძღვანელობამ, რაც იმასაც მიანიშნებს, რომ მალე ამ ორ თეატრს შორის მომავალი ერთობლივი გეგმები ჩამოყალიბდება.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ვაკეთებ ეპილაციას ლაზერის აპარატით. მიღება ჩაწერით. მისამართი: ჩიტაიას 19 (ყოფილი საბჭოს ქუჩა). ტელ: 96-67-03; 895-35-64-13 ექიმი გულიკო ჩიკვილაძე.

● ქირავდება საბურთალოზე ოროთახიანი კეთილმოწყობილი, მაღალჭერიანი ნათელი ბინა, ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, გარაჟით. თვეში 400 აშშ დოლარი. ტელ: 874-48-50-55 შორენა ფიფია; 879-89-00-01 გოგა ფიფია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

**ნათელმხილველი მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, აღგენს უილბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბაზაქაზე, ბედის გახსნაზე, ნარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

# მალხაზ ასათიანის გზა კიევისკენ მიდის

შესაძლოა, საქართველოს ნაკრების ცენტრალური მცველი მალხაზ ასათიანი კიევის „დინამოში“ გადავიდეს. ამ ინფორმაციას რუსული ინტერნეტ-გამოცემები ავრცელებენ. საქმე ისაა, რომ უკრაინის თასის ნახევარფინალში კიევის „დინამომ“ თანაქალაქელ „არსენალს“ უმასპინძლა, მატჩისწინა მიმოხილვაში კი შემდეგი ეწერა:

— მოსკოვის „ლოკომოტივის“ ყოფილი მოთამაშე მალხაზ ასათიანი დღემდე უგუნდოა. როგორც მან გვითხრა, სისტემატურად ელაპარაკება კიევის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელ იური სიომინს, ასე რომ, არსებობს ალბათობა, გამოცდილი მცველი „დინამოში“ გამოჩნდეს.

ამ ინფორმაციას ფეხბურთელი თავადაც ადასტურებს:

— რა თქმა უნდა, კიევში სიამოვნებით წავიდოდი, რადგან მცირე ხნით თამაშის მიუხედავად, კიევი ჩემი მეხსიერებიდან ვერ ამოიშლება.

შეგახსენებთ, რომ სწორედ იური სიომინმა მიიწვია ასათიანი „ლოკომოტივში“ და კიევის „დინამოში“ რომ გადავიდა, 2009 წლის დასაწყისში, ქართველიც წაიყვანა. სიომინი დეკემბერში უკრაინულ კლუბში დაბრუნდა და ბევრმა იფიქრა, რომ ასათიანს კვლავ წაიყვანდა, მაგრამ კიევში ოთხი ცენტრალური მცველი დახვდა და ამაზე ლაპარაკი მაშინვე შეწყდა.

# სკანდალი სერბეთში — მერებაშვილის „ვოივოდინა“ მოედნიდან გავიდა

სკანდალურად დასრულდა სერბეთის თასის ფინალი, რომელშიც გიორგი მერებაშვილის „ვოივოდინა“ ბელგრადის „პარტიზანს“ ხვდებოდა. უფრო სწორად, არ დასრულებულა, რადგან მატჩი ბოლომდე არ ჩამთავრებულა — „ვოივოდინამ“ თამაში შეწყვიტა, მინდვრიდან გავიდა და გამარჯვებულად „პარტიზანი“ გამოცხადდა.

„პარტიზანი“ მე-17 წუთზე დაწინაურდა, ამ დროს მერებაშვილი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ჩვენებური მე-60 წუთზე შევიდა მინდორზე და ორ წუთში ნოვისადელებმა ანგარიში გაათანაბრეს, ხოლო 71-ე წუთზე, ბელგრადელები პენალტით დაწინაურდნენ.სკანდალი მე-80 წუთზე მომწიფდა, როცა მერებაშვილის ჩაწოდებულ ბურთს „ვოივოდინას“ ფეხბურთელმა თავი შეაგება და მსაჯმა ასპროცენტიანი გოლი გააუქმა. 88-ე წუთზე, მსაჯმა სლობოდან ვესელინოვიჩმა, „ვოივოდინას“ სასარგებლოდ პენალტი არ დანიშნა და სწორედ აქ გაგიჟდნენ ნოვისადელები. კლუბის ხელმძღვანელობის მოთხოვნით, გუნდმა თამაში აღარ გააგრძელა და მართალია, „პარტიზანის“ მოთამაშეები დარჩენას სთხოვდნენ, გადაწყვეტილება აღარ შეცვლილა.

ბუნებრივია, მერებაშვილი და მისი თანაგუნდელები არც დაჯილდოების ცერემონიალზე არ დარჩენილან.

— ჩვენ გუნდს ვულოცავთ ფინალში კარგ თამაშს. „პარტიზანმა“ თასი აიღო, მაგრამ „ვოივოდინამ“ მინდორზე დაამტკიცა, ვინაა უძლიერესი, — წერია „ვოივოდინას“ ვებგვერდზე.

— გული მწყდება იმ 6.500 ადამიანზე, რომლებიც ნოვი სადიდან ჩამოვიდნენ ბელგრადში. სლობოდან ვესელინოვიჩმა მათ სიხარული წაართვა. საგულისხმო ისაა, რომ პირადად მქონდა საუბრები „პარტიზანის“ გულშემატკივრებთან, რომლებმაც მითხრეს, ასე მოგებული თასი არ გვჭირდებაო. და მართალნიც არიან, — აცხადებს „ვოივოდინას“ პრეზიდენტი რატკო ბუტუროვიჩი.

მოკლედ, მერებაშვილის გუნდი უტიტულოდ დარჩა, თუმცა, ევროპის ლიგის საგზური განაღდებული აქვს. „ვოივოდინა“ მესამე ადგილზეა ჩემპიონატში, რომელსაც, ალბათ, „პარტიზანი“ მოიგებს და დუბლს შეასრულებს. 4 ტური დარჩა და „პარტიზანი“ 5 ქულით უსწრებს მოსისხლე „ცრვენა ზვეზდას“.

# ნური შაჰინი: „რეალში“ ფულისათვის არ გადავსულვარ

მიმდინარე სეზონი დორტმუნდის „ბორუსიას“ კაპიტან ნური შაჰინისთვის კარიერაში საუკეთესო აღმოჩნდა — თურქმა ფეხბურთელმა ჯერ ბუნდესლიგა მოიგო, ხოლო გასულ კვირაში მადრიდის „რეალთან“ 6-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. შაჰინი გერმანიაშია დაბადებული და დორტმუნდელთა საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. მან 2005-11 წლებში, „ბორუსიას“ შემადგენლობაში ჩატარებულ 152 მატჩში 17 გოლი გაიტანა.

„რეალის“ მიერ 10 მილიონ ევროდ შეძენილი 22 წლის შაჰინის ინტერვიუ, ინტერნეტ-გამოცემა გოალ.კომზე გამოქვეყნდა.



***— მადრიდის „რეალში“ გადასვლა თქვენთვის რას ნიშნავს?***

— მეამაყება, რომ ასეთი ნაბიჯი გადავდგი. ჩემთვის ეს ძალიან ძნელი იყო, რადგან ნამდვილი, ძირძველი „ბორუსიელი“ ვარ და მუდამ ასეთად დავრჩები.

***— რა თქმა უნდა, ეს ძალიან საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა, შეგნებულად მიიღეთ?***

— მესმის, რომ „ბორუსია“ ძალიან დამაკლდება და ბუნდესლიგა მომენტარეობა. გარდა ამისა, გერმანია ჩემი სამშობლოა, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ეროვნულ ნაკრებში გამოვდივარ და ნოსტალგია მექნება. თუმცა, მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც ჩემს გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა.

***— თქვენს ამჟამინდელ მწვრთნელზე არაფერი გითქვამთ.***

— იურგენ კლოპის მადლობელი ვარ. ვამაყობ, რომ ის მენდო, შანსი და კაპიტნის სამკლაური მომცა. ის საუცხოო სპეციალისტია. მეტიც, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო. თუმცა, „რეალში“ ოსტატობის გაზრდის შანსი მაქვს და ამისკენ მივისწრაფვი.

***— მადრიდის „რეალის“ თავკაც ჟოზე მოურინიოზე რა აზრის ხართ?***

— ეჭვი არ მეპარება, რომ მისი ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მოვუმატებ. ამაში მესუტ იოზილმა დამარწმუნა, რომელთანაც გადაწყვეტილების მიღებამდე კონსულტაცია გავიარე. — ამბობენ, რომ თქვენი მიწვევა ბევრ კლუბს სურდა.

***— არა მგონია, ასე ყოფილიყო, რადგან ყველამ იცოდა, რომ არცთუ ბევრი კლუბი არსებობს, რომელთა გულისთვისაც ჩემთვის ძვირფას „ბორუსიას“ დავტოვებდი.***

— თანაგუნდელებთან განშორებამ როგორ ჩაიარა?

***— განშორება ჩემთვის ძალიან ძნელი იყო. ყველა თანაგუნდელი ჩემს გულში დარჩება და ამიტომ, დამშვიდობებისას ემოციით აღსავსე ვიყავი.***

— ამჟამინდელი „ბორუსია“ სხვა გუნდებისგან რით განსხვავდება?

***— ამ გუნდის თითოეული წევრი პარტნიორისა და საერთო წარმატებისათვის სრულად იხარჯებოდა. „ბორუსიაში“ საუცხოო კოლექტივი შეიკრიბა და ბუნდესლიგაში გამარჯვება ამის დასტურია.***

— თანაგუნდელებს მართლა მიეცით სიტყვა, რომ დორტმუნდს არ დატოვებდით?

***— არა, მსგავსი რამ არ ყოფილა. ერთხელ ვისაუბრეთ, როგორ მოიქცეოდა თითოეული ჩვენგანი, თუ სოლიდურ შეთავაზებას მიიღებდა. იმ მომენტში ყველამ აღნიშნა, რომ არ გაბრაზდებიან მასზე, ვინც გუნდიდან წასვლას გადაწყვეტს.***

— მადრიდში თქვენს გადასვლაში ფულმა რა როლი ითამაშა?

— შემიძლია განვაცხადო, რომ „რეალში“ ფულისთვის არ გადავსულვარ. მადრიდში მხოლოდ სპორტული მოსაზრებებიდან გამომდინარე მივდივარ. იმ ადამიანებს არ მივეკუთვნები, ვისაც ტყუილები უყვარს. „ბორუსიას“ ფანებმა კარგად იციან, წასვლა რატომ გადავწყვიტე.

# „არმია“ თითქმის ფინალშია

**არმია — სოხუმი — 84:65**

**(24:14, 22:17, 21:21, 17:13)**

**არმია:** ტუღუში (19), ბოისა (9), ბ.ბერიშვილი (12), ათანელიშვილი (12ქ. 12მ.), შარაბიძე (26); ბაქრაძე (3), მინაშვილი (1), პირველაშვილი (2), მოსეშვილი

**სოხუმი:** ფარღალავა (18), ჰარისი (4), ჩლაიძე (2), ფაცაცია (17), რ.დამუსი (6); კვეტენაძე, შანიძე (13), სორდია, კანკია, კოპალიანი, კ.დამუსი (5)

ამ გუნდების ჯახში უფრო დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ ჯერჯერობით, ძალოვნების სრული უპირატესობით მიმდინარეობს. პირველი შეხვედრის 14 ქულით (66:52) მოგების შემდეგ, ამჯერად, „არმიამ“ 19 ქულის სხვაობით, 84:65 შეძლო მეტოქის დამარცხება და სერიაში 2:0 დაწინაურდა. არმიელებს ფინალს ერთი მოგებალა აშორებს.

მთელი შეხვედრის განმავლობაში „არმია“ ლიდერობდა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ყველასთვის მოულოდნელად, „სოხუმის“ მთავარმა მწვრთნელმა, აინარს ბაგატსკისმა, მეოთხე მეოთხედში ამერიკელ ლეგიონერებს (იუჯინ ჰარისი, კარლ და რიჩარდ დამუსები) თამაშის შანსი არ მისცა. აღსანიშნავია, რომ ლეგიონერების გარეშე დარჩენილმა „სოხუმმა“, 19-ქულიანი სხვაობა 8 ქულამდე დაიყვანა, მაგრამ მეტის გაკეთება ვეღარ შეძლო.

ამ შეხვედრაში, საუკეთესო იყო „არმიას“ ცენტრალური თავდამსხმელი გიორგი შარაბიძე, რომლის ანგარიშზეც ყველაზე მეტი, 26 ქულაა. 12 ქულითა და ამდენივე მოხსნით, ორმაგი დუბლის ავტორი გახდა შარაბიძის თანაგუნდელი, ცენტრალური თავდამსხმელი რევაზ ათანელიშვილი.

ზღვისპირელთა მხრიდან, ყველაზე მეტი — 18 ქულა უკანახაზელმა ლაშა ფარღალავამ დააგროვა.

ამავე დღეს ჩატარდა მატჩები ნახევარფინალს მიღმა დარჩენილი გუნდებისათვის, რომლებიც V-VIII ადგილებისათვის იბრძოდნენ.

მე-5 ადგილისთვის ბრძოლაში, შსს-მ თსსუ-ს 78:69 მოუგო, მე-7 ადგილისთვის კი, სტუ-მ „ენერჯი ინვესტი“ 76:66 დაამარცხა. ამრიგად, მე-20 ეროვნულ ჩემპიონატში V-XI ადგილები ასე განაწილდა — V-შსს, VI-თსსუ, VII-სტუ, VIII-ენერჯი ინვესტი, IX-ბათუმი, X-სსაუ, XI-დინამო.

# „ბაიერნი“ „შალკეს“ ნოიერზე შეუთანხმდა

რამდენიმე გერმანულმა გამოცემამ ერთდროულად გაავრცელა ინფორმაცია, რომ მიუნხენის „ბაიერნის“ ხელმძღვანელობამ, გელზენკირხენის „შალკეს“ თავკაცებთან მეკარე მანუელ ნოიერის სატრანსფერო პირობები შეათანხმა და მომავალი სეზონიდან, გერმანიის ეროვნული ნაკრების 25 წლის კარის დარაჯი, ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბში ითამაშებს.

კიკერის ცნობით, მის სანაცვლოდ, მიუნხენელები ჯერ მხოლოდ 18 მილიონ ევროს გადაიხდიან, ხოლო თუ ნოიერი მათ გერმანიის ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარება, გელზენკირხენელები დამატებით სამ მილიონ ევროს მიიღებენ. და ბოლოს, თუ „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგის მოგებაც მოახერხა, მაშინ „შალკე“ კიდევ 4 მილიონ ევროს მიიღებს.

მოქმედი კონტრაქტის თანახმად, ნოიერს „შალკეს“ შემადგენლობაში კიდევ ერთი სეზონი უნდა ეთამაშა, თუმცა, ახლა მიუნხენელები იმედოვნებენ, რომ მას ოფიციალურად 23-დან 26 მაისამდე წარადგენენ. პარალელურად, ბილდი ირწმუნება, რომ მეკარის კონტრაქტის ხანგრძლივობა ოთხწლიანი იქნება და ის ხელფასის სახით, სეზონში 6 მილიონ ევროს მიიღებს.

## შედეგები

### ფეხბურთი

**იტალია. თასი**

**ნახევარფინალი**

ინტერი-რომა ........ 1:1

**იტალია. სერია ბ**

ალბინოლეფე-რეჯინა ........ 1:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალმერია-ვილიარეალი ........ 0:0
ლევანტე-ბარსელონა ........ 1:1
სოსიედადი-სარაგოსა ........ 2:1
ერკულესი-მალიორკა ........ 2:2
ესპანიოლი-ვალენსია ........ 2:2
ოსასუნა-სევილია ........ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 36 | 29 | 5 | 2 | 92:20 | 92 |
| 2.რეალი | 36 | 27 | 5 | 4 | 91:31 | 86 |
| 3.ვალენსია | 36 | 20 | 7 | 9 | 62:44 | 67 |
| 4.ვილიარეალი | 36 | 18 | 8 | 10 | 53:40 | 62 |
| 5.ბილბაო | 36 | 17 | 3 | 16 | 56:53 | 54 |
| 6.ატლეტიკო | 36 | 15 | 7 | 14 | 56:49 | 52 |
| 7.სევილია | 36 | 15 | 7 | 14 | 56:58 | 52 |
| 8.ესპანიოლი | 36 | 15 | 4 | 17 | 44:51 | 49 |
| 9.მალაგა | 36 | 13 | 6 | 17 | 52:64 | 45 |
| 10.ოსასუნა | 36 | 12 | 8 | 16 | 44:44 | 44 |
| 11.ლევანტე | 36 | 12 | 8 | 16 | 40:50 | 44 |
| 12.მალიორკა | 36 | 12 | 8 | 16 | 37:49 | 44 |
| 13.სოსიედადი | 36 | 14 | 2 | 20 | 47:62 | 44 |
| 14.ხიხონი | 36 | 10 | 13 | 13 | 33:41 | 43 |
| 15.რასინგი | 36 | 12 | 10 | 14 | 39:52 | 43 |
| 16.დეპორტივო | 36 | 10 | 12 | 14 | 31:45 | 42 |
| 17.ხეტაფე | 36 | 11 | 7 | 18 | 46:59 | 40 |
| 18.სარაგოსა | 36 | 10 | 9 | 17 | 37:52 | 39 |
| 19.ერკულესი | 36 | 9 | 7 | 20 | 34:58 | 34 |
| 20.ალმერია | 36 | 5 | 12 | 19 | 32:61 | 27 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალბასეტე-ნუმანსია ........ 1:2
ვალიდოლიდი-კორდობა ........ 5:1
პონფერადინა-ბარსელონა ბ ........ 2:2
უელვა-ტარაგონა ........ 1:0
ბეტისი-ტენერიფე ........ 3:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლანსი-ბორდო ........ 1:0
მონპელიე-ლორიენი ........ 3:1
ნიცა-არლე ........ 3:2
ოსერი-ლიონი ........ 4:0
რენი-კაენი ........ 1:1
სოშო-მონაკო ........ 3:0
ტულუზა-ვალანსიენი ........ 0:0
მარსელი-ბრესტი ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 35 | 19 | 12 | 4 | 62:32 | 69 |
| 2.მარსელი | 35 | 18 | 11 | 6 | 56:33 | 65 |
| 3.ლიონი | 35 | 16 | 11 | 8 | 58:39 | 59 |
| 4.პსჟ | 35 | 15 | 13 | 7 | 53:37 | 58 |
| 5.რენი | 35 | 14 | 11 | 10 | 34:29 | 53 |
| 6.სოშო | 35 | 15 | 7 | 13 | 55:40 | 52 |
| 7.ლორიანი | 35 | 12 | 12 | 11 | 43:42 | 48 |
| 8.სტ.ეტიენი | 35 | 12 | 12 | 11 | 43:42 | 48 |
| 9.მონპელიე | 35 | 12 | 11 | 12 | 32:38 | 47 |
| 10.ბორდო | 35 | 10 | 15 | 10 | 40:40 | 45 |
| 11.ტულუზა | 35 | 12 | 8 | 15 | 34:35 | 44 |
| 12.ოსერი | 35 | 9 | 18 | 8 | 42:38 | 43 |
| 13.ვალანსიენი | 35 | 9 | 16 | 10 | 40:37 | 43 |
| 14.ნიცა | 35 | 10 | 13 | 12 | 30:43 | 43 |
| 15.ბრესტი | 35 | 10 | 12 | 13 | 34:40 | 42 |
| 16.კაენი | 35 | 10 | 11 | 14 | 42:49 | 41 |
| 17.მონაკო | 35 | 8 | 16 | 11 | 34:37 | 40 |
| 18.ნანსი | 35 | 10 | 9 | 16 | 34:48 | 39 |
| 19.ლანსი | 35 | 7 | 13 | 15 | 34:52 | 34 |
| 20.არლე | 35 | 1 | 11 | 23 | 18:67 | 14 |

**რუსეთი. თასი**

**ნახევარფინალები**

როსტოვი-ალანია ........ 0:0(5:6პ)
სპარტაკი-ცსკა ........ 3:3(4:5პ)

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ინვერნესი-ჰიბერნიანი ........ 2:0
მოზერველი-კილმანროკი ........ 1:1
ჰართსი-სელტიკი ........ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეინჯერსი | 37 | 29 | 3 | 5 | 83:28 | 90 |
| 2.სელტიკი | 37 | 28 | 5 | 4 | 81:22 | 89 |
| 3.ჰართსი | 37 | 18 | 9 | 10 | 52:43 | 63 |
| 4.დანდი | 37 | 16 | 10 | 11 | 53:49 | 58 |
| 5.კილმანროკი | 37 | 13 | 10 | 14 | 52:49 | 49 |
| 6.მოზერველი | 37 | 13 | 7 | 17 | 40:56 | 46 |
| ------------------------------ | | | | | | |
| 7.ინვერნესი | 37 | 13 | 11 | 13 | 50:43 | 50 |
| 8.სტ.ჯონსონი | 37 | 11 | 10 | 16 | 23:43 | 43 |
| 9.ჰიბერნიანი | 37 | 10 | 7 | 20 | 38:58 | 37 |
| 10.აბერდინი | 37 | 10 | 5 | 22 | 36:58 | 35 |
| 11.სტ.მირენი | 37 | 8 | 8 | 21 | 33:57 | 32 |
| 12.ჰამილტონი | 37 | 4 | 11 | 21 | 23:57 | 26 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ინსბრუკი-რიდი ........ 1:1
ნოიშტადი-ლინცერი ........ 0:0
რაპიდი-მატერსბურგი ........ 0:0
შტურმი-აუსტრია ........ 1:1

**ბელგია. პროლიგა**

**პლეი-ოფი**

ანდერლეხტი-გენტი ........ 4:1
ლოკერენი-სტანდარდი ........ 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ციურიხი-ბაზელი ........ 2:2
ქსამაქსი-თუნი ........ 1:4
ბელინცონა-სტ.გალენი ........ 1:3

**თურქეთი. თასი**

**ფინალი**

ბეშიქთაში-ისთამბული ........ 2:2(4:3პ)

**ჩეხეთი. თასი**

**ნახევარფინალი**

სიგმა-სლავია ........ 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-ხოჟუვი ........ 0:2
ბიძევი-ბელხატოვი ........ 1:1
კორონა-ლეჩნა ........ 2:3
ვისლა-ლეხი ........ 1:0

**უკრაინა. თასი**

შახტარი-დნიპრო ........ 2:1
დინამო-არსენალი ........ 2:0

**აშშ. მლს**

ფილადელფია-ლოს ანჯელესი ........ 1:1
დალასი-ტორონტო ........ 1:0
ვანკუვერი-სან ხოსე ........ 1:1

### კალათბურთი

**ნბა. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალები 4 მოგებამდე**

მაიამი-ბოსტონი ........ 97:87
სერიის ანგარიში ........ 4:1
ოკლაჰომა-მემფისი ........ 99:72
სერიის ანგარიში ........ 3:2

### წყალბურთი

**ევროპის ჩემპიონატი. კვალიფიკაცია**

რუმინეთი-უკრაინა ........ 18:3
სლოვაკეთი-ისრაელი ........ 24:3
საფრანგეთი-რუსეთი ........ 11:10

### ჩოგბურთი

**ატპ. რომი. თიხა**

სტარაცე-ტროიცკი ........ 6:4;6:4
ფედერერი-ცონგა ........ 6:4;6:2
ჩილიჩი-ბერლოკი ........ 6:4;6:3
ნადალი-ლოპესი ........ 6:4;6:2

**ვტა. რომი. თიხა**

ივანოვიჩი-ვიკმაიერი ........ 6;2;6:7;3:6
აზარენკო-ერანი ........ 6:1;6:2
ვოზნიაცკი-როდიონოვა ან. ........ 6:2;6:0
ლი-გაიდიშოვა ........ 6:2;6:1
სტოსური-ჰერცოგი ........ 6:3;6:4

### ჰოკეი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**მეოთხედფინალები**

აშშ-ჩეხეთი ........ 4:0
შვედეთი-გერმანია ........ 5:2

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ივანე ჯავახიშვილის იუბილე ხელნაწერთა ცენტრში აღნიშნეს

ეკა ირემაშვილი

**ივანე ჯავახიშვილის 135 წლის იუბილესთან დაკავშირებით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნა ექსპოზიცია სახელწოდებით „ივანე ჯავახიშვილი — 135“. გამოფენაზე წარმოდგენილია მეცნიერის ფუნდამენტური გამოკვლევების ავტოგრაფები, პირადი წერილები, მასალები ივანე ჯავახიშვილის მეუღლის ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის პირადი არქივიდან.**

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა დისკუსია „მეცნიერი და საბჭოთა სისტემა“. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის ოჯახის წევრებმა და მეცნიერებმა, რომლებსაც საბჭოთა სისტემაში მოუწიათ მოღვაწეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

11 მაისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ლონდონის კრისტის (გაყიდვების სახლის) წიგნებისა და ხელნაწერთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარგარეტ ფორდი და ბრიტანული ფონდის „ველქამ თრასთის“ ხელმძღვანელი ჯონ სტიუარტი ეწვივნენ. სტუმრებს მასპინძლობას უწევდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე თამარ გეგია. უცხოელებს საშუალება ჰქონდათ, ქართული ხელნაწერების საცავში ეხილათ ჯრუჭის სახარება, ბექა და ბეშქენ ოპიზრების ხელით მოჭედილი წყაროსთავისა და ბერთის სახარებები, „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს უცხოენოვანი ხელნაწერები და ძველნაბეჭდი წიგნები. უცხოელმა ვიზიტორებმა თამარ გეგიასთან სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს და თანამშრომლობის გზებიც დასახეს. მათ ცენტრის ადმინისტრაციამ სიმბოლური საჩუქრები გადასცა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ივანე ჯავახიშვილის იუბილეს ფარგლებში წარმოდგენილი გამოფენის გაცნობა დამთვალიერებლისთვის 20 მაისამდე იქნება შესაძლებელი.

ივანე ჯავახიშვილის იუბილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც აღნიშნეს. უმაღლესი სასწავლებლის დამაარსებლის იუბილეზე სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა დამფუძ-



ნებლის საფლავი გვირგვინით შეამკეს.

ქართველმა ისტორიკოსმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადამფუძნებელმა დაასრულა თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, შემდეგ კი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანული განყოფილება. იყო ამავე უნივერსიტეტის მაგისტრანტი. იგი მიწვეულ იქნა ბერლინის უნივერსიტეტში.

ივანე ჯავახიშვილს ნაშრომისათვის „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“ მიენიჭა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი. იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებელი წევრი. ივანე ჯავახიშვილის თაოსნობითა და ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი იყო ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, მოგვიანებით — ამავე უნივერსიტეტის რექტორი, ხელმძღვანელობდა თსუ-ს საქართველოს ისტორიის კათედრას, სათავეში ედგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საქართველოს ისტორიის განყოფილებას. მისი მეცნიერული მოღვაწეობის მთავარი მიმართულებები საქართველოსა და კავკასიის ისტორია და ისტორიოგრაფია, ქართული ეკონომიკისა და სამართლის ისტორია, კავკასიის ეთნოლოგია, საქართველოს ეთნოგრაფია, კავკასიური ენები, საქართველოს საისტორიო გეოგრაფია, ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორია იყო.

ივანე ჯავახიშვილი 170-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 20-ზე მეტი მონოგრაფიის ავტორია. ნაშრომისათვის „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ოქროს მედლით დააჯილდოვა. მან ნიკო მართან ერთად იმოგზაურა სინას მთაზე და მაღალი ღირსების ძეგლი გამოავლინა. მას ეკუთვნის კაპიტალური შრომა „ქართველი ერის ისტორია“ (5 წიგნად), რომელშიც სრულიად ახლებურადაა შესწავლილი საქართველოს პოლიტიკური ისტორია.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა. ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა თბილისში და იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში დაკრძალეს. მისი პირადი ბიბლიოთეკა და ნივთები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადაეცა.

როგორც თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა განაცხადა, ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეს საუნივერსიტეტო საზოგადოება პატივს ყოველთვის ღირსეულად მიაგებს უნივერსიტეტის დამაარსებლის ხსოვნას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილის იუბილეს და წელს ეს თარიღი განსაკუთრებული იქნება. დამფუძნებლის 135 წლის იუბილეს ღონისძიებების ციკლი მიეძღვნება.

ივანე ჯავახიშვილის იუბილეს ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონფერენცია ჩატარდა, სადაც არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, კავკასიოლოგიის, ქართველოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის შესახებ მოხსენებები გაკეთდა. კონფერენციის მეორე სექცია ისტორიას დაეთმო, რომელსაც ისტორიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე უძღვებოდა.

კონფერენციის პარალელურად, უნივერსიტეტში გამოფენა გაიხსნა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის პირად ფოტოარქივს, ნივთებს, ხელნაწერებსა და მისი მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტებს მოიცავს.

როგორც თსუ-ს ხელმძღვანელობა განმარტავს, ივანე ჯავახიშვილის იუბილეს ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე კონფერენციის ჩატარება. ერთ-ერთი მათგანი სოფელ ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართება. მოეწყობა რეგიონული კონფერენცია, რომლის შემაჯამებელ სხდომას შემოდგომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკვე განახლებულ პირველ კორპუსში უმასპინძლებენ.

## თქვენ და თქვენი პრობლემები




***1. უზიარებთ თუ არა თქვენს პრობლემებს ახლობლებს?***

ა. არა. არ მშველის. (4) ბ. დიახ, თუ შესაფერისი მოსაუბრე შემხვდა. (0) გ. ხანდახან (2).

***2. რამდენად მძიმედ განიცდით პრობლემებს?***

ა. ყოველთვის მძიმედ. 5 ბ. გააჩნია გარემოებებს. (3) გ. ვცდილობ, ავიტანო. (1)

***3. რომელი იმიჯია თქვენთვის უფრო მისაღები:***

ა. ჯვარცმული იესო, (3) ბ. მომღიმარი ბუდა, (1) გ. მაცდური სატანა. (2)

***4. სპირტიან სასმელებს სვამთ, რათა:***

ა. პრობლემები ჩაახრჩოთ. (0) ბ. თავის ტკივილი მოიშოროთ. (2) გ. უბრალოდ მოგწონთ (4).

***5. გჯერათ, რომ ენერგეტიკული ვამპირები არსებობენ?***

ა. დიახ. (3) ბ. არა. (0) გ. არ დავფიქრებულვარ ამაზე. (1)

***6. რას აკეთებთ, როცა რამე ძალიან გტკივათ?***

ა. საკუთარ თავს სიხარულს ანიჭებთ. (1) ბ. მეგობრებთან მიდიხართ. (3)გ. შინ რჩებით და საკუთარი თავი გეცოდებათ. 5

***7. თუ ახლობელი ადამიანი ტკივილს გაყენებთ:***

ა. საკუთარ ნაჭუჭში იკეტებით. (4) ბ. ახსნა-განმარტებას მოითხოვთ. (2) გ. ვისაც მოსმენა არ ეზარება, ყველას უყვებით (2)

***8. სასიხარულო მომენტებში:***

ა. არ ფიქრობთ გადატანილ უბედურებაზე. 5 ბ. შიშობთ, რომ ეს მომენტი სწრაფად გაივლის. (2) გ. არ ივიწყებთ, რომ ცხოვრებაში მრავალი სხვა პრობლემაც არსებობს. (1)

***9. თქვენი აზრით, ბედი:***

ა. გდევნით. (1) ბ. არ გწყალობთ, (2) გ. გწყალობთ (3)

***10. ახლობელ ადამიანთან კამათის შემდეგ ფიქრობთ:***

ა. იმ სასიამოვნოზე, რაც მასთან განგიცდიათ. (0) ბ. შურისძიებაზე ოცნებობთ. (1) გ. გახსენდებათ, რამდენი ტკივილი აგიტანიათ მისგან (3)

### პასუხები

**7-15 ქულა:** ადვილად ურიგდებით პრობლემებს, რადგან ახერხებთ მათ შეფასებას. არ გიყვართ საკუთარი თავის შეცოდება, თქვენი სულიერი წონასწორობა აღტაცებას იმსახურებს.

**16-26 ქულა:** ხანდახან უჩივით ბედს, მაგრამ გაქვთ პრობლემების გაზიარების შესაძლებლობა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ყოველთვის გითანაგრძნობენ.

**27-29 ქულა:** თქვენ ჯერ ვერ ისწავლეთ პრობლემებთან გამკლავება, ამიტომაც წვალობთ და იტანჯებით. ამჯობინებთ საკუთარ თავში ჩაკეტვას, საკუთარი თავის შეცოდებას, სკანდალისა და ისტერიკის გამართვას.

გ.თ.

## იუმორი



— მარტორქას ორთურმა არ უნდა ეთამაშო...

***

— ყველაზე მეტად ქალებს ის მამაკაცები მოსწონთ, რომლებიც მათ ყველა მიზნის მიღწევაში ეხმარებიან. მათი პორტრეტები კუპიურებზეა გამოსახული...

***

— შენ სულელი ეძახე და ნახე, რა კარგად მღერის!

— მერე, რა გიკვირს, ცარიელ სივრცეში ყოველთვის კარგი აკუსტიკაა...

***

— ჩემი ძაღლი ჩემსავით ჭკვიანია.

— ჰმ, რა უცნაურია, როგორც წესი, პატრონები თავიანთ ძაღლებს აქებენ ხოლმე...

***

— ფულს სუნი არ აქვს, რადგან გულმოდგინედ რეცხავენ...

— ეს მანქანა თქვენია?

— ნაწილობრივ.

— ეგ როგორ?

— როგორც საკუთრება მეუღლეზეა გაფორმებული, ჩემი ვაჟი ატარებს, ქალიშვილი ხანდახან ქალაქგარეთ მიემგზავრება ხოლმე, ხოლო ბორბლის გამოცვლა რომ არის საჭირო, მაშინ ჩემია...

***

— რა უნდა იცოდეს მამაკაცმა იმისათვის, რომ ქალებში წარმატებას მიაღწიოს?

— ჯერ ერთი, უნდა ესმოდეს, რომ ყველა ქალი ერთნაირია, და მეორე — თითოეულს, ვისაც ხვდება, უნდა უთხრას, რომ იგი განსაკუთრებული და ყველა სხვა დანარჩენისაგან განსხვავებულია...

***

— თქვენი ავადმყოფობის მიზეზი ალკოჰოლია.

— გმადლობთ, თქვენ პირველი ექიმი ხართ, რომელიც ყველაფერს მე არ მაბრალებს.

გ. თ.

# მუსიკალურ ცენტრში ინოვაციური პოპკულტურა დაჯილდოვდება

ეკა ირემაშვილი

14 მაისს ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში ინოვაციური პოპკულტურის დაჯილდოების ცერემონიალი „ელექტრონავტი 2010/2011“ უკვე მეოთხედ გაიმართება. ღონისძიების ორგანიზატორები არიან ფონდი „ელექტრონავტი“, კომპანიები „კომუნამედია“, „სტრომბოლი“, „ჯორჯიან ივენტს“. ღონისძიება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის სპონსორობით ჩატარდება.

დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილე ფინალისტების ვინაობას 13 მაისს ორგანიზატორები ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე დაასახელებენ. ღონისძიების ორგანიზატორი საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად ფონდი „ელექტრონავტია“, რომელიც სპეციალურად ელექტრონავტისთვის ფინანსური სახსრების მოსაზიდად შეიქმნა. ელექტრონავტების ვინაობას, ინტერნეტ-გამოკითხვის მონაწილეების გარდა, საერთაშორისო და ქართველ ექსპერტთა ჯგუფი ადგენს. კონკურსში 60-მდე ქართველი მუსიკოსი და ჯგუფი მონაწილეობდა. დაჯილდოების ცერემონიალს ჟურნალისტი ნათია ორაშვილი (ნაჯა) და მსახიობი გიორგი გიორგანაშვილი (ბახალა) გაუძღვებიან.

რიგით მეოთხე დაჯილდოების ცერემონიალზე დასახელდებიან საუკეთესოები შემდეგ კატეგორიებში: 2010 წლის სპონსორი ან მხარდამჭერი კომპანია, 2010 წლის რადიოგადაცემა, 2010 წლის ვებ-გვერდი, 2010 წლის ტრეკი, 2010 წლის საუკეთესო ქართველი პრომოუტერი, 2010 წლის საუკეთესო ივენთი, 2010 წლის საუკეთესო ვენიუ, 2010 წლის საუკეთესო ქართველი დიჯეი, 2010 წლის საუკეთესო ვიდეო და 2010 წლის მუსიკოსი (ელექტრონავტი).

ღონისძიების მთავარი პრიზი, ბრინჯაოს ელექტრონავტი, მხატვარმა მამუკა ჯაფარიძემ დაამზადა. ცერემონიალის სატელევიზიო ვერსია სამი მაუწყებლის ეთერში გადაიცემა. ელექტრონავტის საკონცერტო პროგრამაში 10-მდე ჯგუფი და ინდივიდუალური შემსრულებელი მონაწილეობს.

დაჯილდოებას მხოლოდ მოსაწვევით მიწვეული სტუმრები — მუსიკოსები, პრომოუტერები, მედიის, ბიზნესისა და კლუბების წარმომადგენლები დაესწრებიან.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. თბილ ქვეყნებში გავრცელებული მარადმწვანე მცენარე; 6. ძვირფასი ქვა, ძალზე მტკიცე მინერალი; 8. ოფიცრის ჩინი; 11. კედელზე გასაკრავი მოხატული ქაღალდი; 14. ფრინველთა შემსწავლელი მეცნიერი; 15. ოქროს შემცველი სილის სარეცხი უმარტივესი აპარატი; 16. ქართველი პოეტი ქალი; 17. სამიჯნურო ხასიათის ოთხსტრიქონიანი სპარსული ლექსი; 19. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 21. ლოტოს მსგავსი აზარტული თამაში; 22. თხრობითი ხასიათის მხატვრული ნაწარმოები ლექსად.

**თარაზულად:** 1. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 5. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 7. წყალგარეული ღვინო; 9. ქართველი მგოსანი; 10. ბაგირზე მოსიარულე ჯამბაზი; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 13. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. ესპანელი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ტენორი; 17. სუსტი არაყი; 18. საშობაო სიმღერა; 20. მდინარე ვაშინგტონში; 22. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 23. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი ფიგურის ან პაიკის შეწირვით; 24. თურქი ჯარისკაცი; 25. მდინარე ინდოეთში და პაკისტანში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მეხიკო; 2. გაუდა; 3. სხალთა; 4. კრისტი; 6. მორიელი; 9. თართი; 11. მაზანდა; 15. სენკევიჩი; 16. ისრიმი; 17. პაგანინი; 19. ეშელონი; 21. ბალზამი; 22. პლისკა.

**თარაზულად:** 5. გენეტიკა; 7. ოოლოგია; 8. ციცაგი; 10. კაჭკაჭი; 12. ტანგო; 13. აბაშა; 14. ზეთის ხილი; 18. ნუარე; 20. ასუანი; 23. ალგეთი; 24. ლემა; 25. დემონი; 26. კიჩო; 27. ამირანი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. უმეცარი; 3. ხვაშიადი; 4. იზოლატორი; 5. მზისა; 6. ასკანა; 8. ფიესტა; 11. ზვარაკი; 14. ადრენალინი; 15. დანსინგი; 16. ნობელიუმი; 17. ტაიბეი; 19. ტავერნა; 21. პიტნა; 22. ტაბლა.

**თარაზულად:** 1. ცუცხვათი; 5. მექა; 7. ჯაფარა; 9. ჰემატოლოგია; 10. კაზრეთი; 12. ინფანტი; 13. ნიორაძე; 16. როდენი; 17. ტილი; 18. ატილა; 20. ფენომენი; 22. ტანგო; 23. გერგეტი; 24. უემბლი; 25. ნოინი.

# ივან დემიანიუკს საკონცენტრაციო ბანაკის ზედამხედველობისთვის 5 წელი მიუსაჯეს



**მიუნხენის სასამართლომ 91 წლის ივანე დემიანიუკს მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელების მკვლელობებთან კავშირისათვის ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

ბრალდება მისთვის ექვს წელს მოითხოვდა.

სასამართლომ დემიანიუკი დამნაშავედ ცნო. 1943 წელს იგი პოლონეთში სობიბორის სიკვდილის ბანაკში მცველად მუშაობდა და 28060 ათასი ებრაელის მკვლელობის თანამონაწილე გახდა.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ბანაკში მცველად მისი ყოფნის განმავლობაში სობიობორში სწორედ ამდენი ებრაელი დაიღუპა.

იმავდროულად, გამოძიებამ დემიანიუკის დამნაშავეობის დამადასტურებელი კონკრეტული საბუთების წარმოდგენა ვერ შეძლო.

სობიბორის ბანაკის არსებობის განმავლობაში სულ აქ 250 ათასამდე ადამიანი დაიღუპა.

ივანე დემიანიუკი თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე, ვინიცის ოლქში დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში ტრაქტორისტად მუშაობდა, 1940 წელს წითელ არმიაში გაიწვიეს, 1942 წელ ტყვედ ჩავარდა.

ტყვეობაში იგი გადაიბირეს და მან ესესის ფიცი დადო, რის შემდეგაც, გამოძიების მასალების თანახმად, პოლონეთში, ტრავნიკის ბანაკში კოლაბორაციონისტების წვრთნის კურსი გაიარა, 1943 წელს კი სობიბორის ბანაკში მოხვდა. გამოძიებამ დამტკიცებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ დემიანიუკი ამ ბანაკში მცველად 1943 წლის მარტიდან სექტემბრამდე იმყოფებოდა.

განაჩენის გამოტანის საფუძვლად დემიანიუკის ბიოგრაფიის ეს პერიოდი იქცა.

ომის დამთავრების შემდეგ დემიანიუკი გერმანიის ტერიტორიაზე, ლტოლვილთა ამერიკულ ბანაკში აღმოჩნდა, 1951 წელს კი აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად და რამდენიმე წლის შემდეგ აშშ-ის მოქალაქეობა მიიღო.

აშშ-ში დემიანიუკი კლივლენდში, ფორდის საწარმოში მუშაობდა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოითქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც დემიანიუკი ომის წლებში პოლონეთის კიდევ ერთ საკონცენტრაციო ბანაკში, ტრებლინკაში მუშაობდა მცველად. თვითმხილველების ჩვენებების თანახმად, ამ ბანაკში იგი „ივან გროზნის“ მეტსახელით იყო ცნობილი.

სხვადასხვა მონაცემების თანახმად, ტრებლინკაში 800 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, რაც ოსვენციმის ბანაკის შემდეგ მეორე მაჩვენებელია.

1986 წელს დემიანიუკი აშშ-იდან ისრაელს გადასცეს, სადაც ისრაელის პროკურატურამ დემიანიუკის და „ივან გროზნის“ იდენტურობის სამხილები წარმოადგინა.

1988 წელს ისრაელის სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ მისმა ადვოკატმა იორამ შეფტელმა უზენაეს სასამართლოში აპელაცია წარადგინა და ტრებლინკას ყოფილი პატიმრებისა და მცველების ჩვენებების და სიმფეროპოლის სუკის არქივის დოკუმენტების საფუძველზე სასამართლო დაარწმუნა, რომ „ივან გროზნი“ სხვა ზედამხედველი იყო — ვინმე ივან მარჩენკო.

1993 წელს ისრაელის უზენაესმა სასამართლომ სამხილების უკმარისობის გამო ივან დემიანიუყი გაამართლა. 2009 წელს იგი კვლავ იქნა ექსტრადირებული აშშ-იდან, ამჯერად გერმანიაში, სადაც განაჩენი მას უკვე სობიბორის ბანაკისათვის გამოუტანეს.

# ლორკას მიწისძვრამ 10 ადამიანი იმსხვერპლა



ესპანეთის სამხრეთით მდებარე ქალაქ ლორკაში 5.3 ბალიანი მიწისძვრის შედეგად დაღუპული ადამიანების რიცხვმა, წინასწარი მონაცემებით, 10 ადამიანს მიაღწია. ხელისუფლები შიშობენ, რომ მსხვერპლის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის მონაცემებით, მიწისქვეშა ბიძგები გრინვიჩის დროით 16:50 წუთზე დაფიქსირდა. მიწისძვრის ეპიცენტრი სულ რაღაც 1 კმ-ის სიღრმეზე, ქალაქ ალიკანტედან სამხრეთ-დასავლეთით, 120 კმ-ის მოშორებით მდებარეობდა.

მანამდე, ორი საათით ადრე იმავე რაიონში 4.4 ბალიანი ბიძგი დაფიქსირდა და ლორკაში მრავალმა შენობამ განმეორებით ბიძგს ვეღარ გაუძლო.

ესპანეთის ტელევიზიამ ნგრევის და ნანგრევებში მომუშავე მაშველების კადრები აჩვენა. გარდა ამისა, ფირზე აღიბეჭდა აგრეთვე ქალაქში, ეკლესიის სამრეკლოს გუმბათის ჩამონგრევის ფაქტი.

პანიკით მოცული ადგილობრივი მოსახლეობა ქუჩებში და პარკებში გამოცვივდა.

შენობების წინ დაყენებული ავტომობილები ჩამოცვენილმა ნამსხვრევებმა ლამის მიწასთან გაასწორეს. ადგილობრივი საავადმყოფოებიდან პაციენტები გახიზნეს.

ლორკას მერმა ფრანსისკო ხოდარმა ადგილობრივი რადიოს ინტერვიუში განაცხადა, რომ მსხვერპლი ძირითადად ნანგრევებში ადამიანის მოყოლით არის გამოწვეული.

განმეორებითი ბიძგების შიშით მრავალმა მოქალაქემ ღამე ღია ცის ქვეშ გაათენა.

ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ხოსე ლუის როდრიგეს საპატერომ უბედურების რაიონში სამხედრო ნაწილები გაგზვნა.

ესპანეთის სამხრეთი სეისმურად აქტიურ ზონად ითვლება. თუმცა, ძლიერი მიწისძვრები აქ შედარებით იშვიათად ხდება. ბოლო 50 წლის განმავლობაში აქ ასეთი ძლიერი მიწისძვრა არ მომხდარა.

მურსიას პროვინციაში რამდენიმე განმეორებითი ბიძგი დაფიქსირდა, და ხელისუფლები შიშობენ, რომ მსხვერპლის რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.

უკანასკნელად მიწისძვრა ამ რაიონში 1999 და 2005 წლებში მოხდა.

# აშშ-ის გენპროკურორმა ბინ ლადენის მკვლელობისას ამერიკელი სამხედროების მოქმედება გაამართლა



აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა ერიკ ჰოლდერმა პაკისტანის ქალაქ აბოტაბადში უსამა ბინ ლადენის წინააღმდეგ ოპერაციის დროს აშშ-ის სამხედროების მოქმედება გაამართლა და განაცხადა, რომ „ალ კაიდას“ ლიდერის სიკვდილი წინასწარ დაგეგმილი არ ყოფილა.

ბიბისის ინტერვიუს დროს ჰოლდერმა განაცხადა, რომ ამერიკელი საზღვაო ქვეითების წინაშე დასმული იყო ამოცანა „მოკლან ან ტყვედ აიყვანონ“.

ჰოლდერის თქმით, უსამა ბინ ლადენი რომ დანებებულიყო, ცოცხალი გადარჩებოდა.

ამერიკელების მიერ უპირველეს ტერორისტად გამოცხადებული უსამა ბინ ლადენი პაკისტანის ქალაქ აბოტაბადში 2 მაისს ჩატარებული ოპერაციის შედეგად დაიღუპა.

მისი მკვლელობის კანონიერებაში ეჭვი ეპარებოდათ როგორც ბინ ლადენის ოჯახის წევრებს, ასევე რამდენიმე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, როგორიცაა, მაგალითად, გაერო.

აბოტაბადში ხუთშაბათს აშშ-ის მოქმედების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციაში რამდენიმე ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

აქციის მონაწილეები, რომელთა შორის უმრავლესობას ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნავაზ შარიფის მომხრეები შეადგენდნენ, გაიძახოდნენ „ამერიკა, გაეთრიე პაკისტანიდან“, „ძირს ობამა“, „ძირს ზარდარი“.

პაკისტანის ყოფილმა პრემიერ-მინსტრმა ნავაზ შარიფმა პაკისტანის ტერიტორიაზე ამერიკელთა სპეცოპერაციის ლეგიტიმურობის გამოძიებისაკენ მოუწოდა.

აშშ-ის გენპროკურურმა კი ბიბისის ინტერვიუში განაცხადა, რომ ოპერაციის დროს უპირველესი მნიშვნელობა მისი მონაწილე სამხედროების უსაფრთხოებას ენიჭებოდა.

ერიკ ჰოლდერის თქმით, აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეების მოქმედება არ ეწინააღმდეგეობოდა საერთაშორისო სამართალს, რადგან იგი მტრული შეიარაღებული ორგანიზაციების ლიდერებზე თავდასხმას არ კრძალავს.

ბინ ლადენის ნათესავები აცხადებდნენ, რომ მისი მკვლელობა საერთაშორისო სამართლის დარღვევას წარმოადგენს, რადგან ისეთ მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ, მაგალითად, ერაყის ყოფილი პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი, ან სერბიის პრეზიდენტი შლობოდან მილოშევიჩი, სასამართლოში თავის დაცვის შესაძლებლობა მიეცათ.

გაეროს სპეციალურმა წარმომადგენლებმა ქრისტოფ ჰეინსმა და მარტინ შეინინმა განაცხადეს, რომ ექვმიტანილების მკვლელობა შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

მათ მიერ მომზადებულ ანგარიშში ისიც არის ნათქვამი, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილთა მიმართ ისეთივე ქმედება არის საჭირო, როგორიც სხვა, ჩვეულებრივი დამნაშავეების მიმართ, კერძოდ, მათი დაპატიმრება, გასამართლება და დასჯა არის საჭირო.

გავრცელებული ცნობების თანახმად, „ალ კაიდას“ ლიდერი თავის დღიურში წერდა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მომხდარ უმნიშვნელო თავდასხმებს სასურველი ეფექტი არ ჰქონდა.

უსამა ბინ ლადენი ანგარიშობდა იმას, თუ რამდენი ამერიკელის მოკვლა იყო საჭირო იმისათვის, რომ ამერიკელები ახლო აღმოსავლეთიდან წასულიყვნენ.

გარდა ამისა, უსამა ბინ ლადენი თავის მომხრეებს მოუწოდებდა სამიზნეებად მცირე ქალაქები, მცირე ობიექტები, მაგალითად, ცალკეული მატარებლები აერჩიათ.

სააგენტო ფრანს პრესის კორესპონდენტების თანახმად, ბინ ლადენის ხელი ერია ყველა იმ ტერორისტულ ქმედებაში, რომელიც ევროპაში უსაფრთხოების ზომების გამკაცრების მიზეზი გახდა.

უსამა ბინ ლადენი თავდასხმებს მნიშვნელოვანი თარიღებისათვის, აშშ-ის დამოუკიდებლობის დღის, 4 ივლისისა და 2001 წლის 11 სექტემბრის მე-10 წლისთავთან დაკავშირებით ამზადებდა.

გარდა ამისა, მის ჩანაწერებში ნათქვამი იყო, რომ ეს თავდასხმები გარდა ნიუ იორკისა, აშშ-ს სხვა ქალაქებში, კერძოდ, ლოს ანჯელესში უნდა მომხდარიყო.

აშშ-ის დაზვერვის სამსახურები კვლავაც აგრძელებენ უსამა ბინ ლადენის კომპიუტერებისა და დასამახსოვრებელი მოწყობილობების შესწავლას.

სულ ნაპოვნია ინფორმაციის 100 პორტატული მატარებელი. სავარაუდოდ, თავის მომხრეებს უსამა ბინ ლადენი ინფორმაციას სწორედ მათი საშუალებით უგზავნიდა, რადგან სახლში, სადაც იგი ცხოვრობდა, ინტერნეტი გაყვანილი არ იყო.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# ინგლისი ფიფადან გამოსვლით იმუქრება

დიდი ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა ჰიუ რობერტსონმა განაცხადა, რომ თუ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიფა) მსოფლიოს 2018 და 2022 წლის ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყნის არჩევისას ჩინოვნიკების კორუმპირებულობაში დადანაშაულებას პასუხს არ გასცემს, ინგლისმა შესაძლოა ეს ორგანიზაცია დატოვოს.

— გვსურს მშვიდად ვიმუშაოთ, მაგრამ ასევე გვსურს ფიფას უკეთესობისკენ შეცვლაში დავეხმაროთ. თუ ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, საპასუხო ზომებს მივიღებთ. ყველაფერი მოსალოდნელია, ინგლისის ფიფას შემადგენლობიდან გასვლის ჩათვლით, — ანაცხადებს რობერტსონი.

თავის მხრივ, ფიფამ ინგლისურ მხარეს ქრთამის აღებაში ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები მოსთხოვა და მზადყოფნა გამოთქვეს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარის ლორდ დევიდ ტრისმანის სენსაციური განცხადებების გამოძიებაში ითანამშრომლონ.

ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიებას დაჩქარებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ფიფას 1 ივნისის კონგრესამდე უნდა მიიღონ.

— ყველაფერი ძალიან სწრაფად უნდა გავაკეთოთ. აუცილებელია ამ საქმეს წერტილი კონგრესის სხდომამდე დაესვას და არ ითქვას, ამ საკითხს შემდეგ მოვაგვარებთო. დაუყოვნებლივ უნდა ვიმოქმედოთ, სულ სამი კვირა გვაქვს, — განაცხადა ბლატერმა.

**მ. ჟ.**

# სამგლოვიარო განცხადებები

დიდი გულისტკივილით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენი სკოლის მეგობარი

**ლარისა სეხნიაშვილი**

*ბავშვობის მეგობრები*



დედა ლია ბოკუჩავა, შვილები მარიამ, ირაკლი ფხაკაძეები, და ციცინო, ძმა გიორგი ვახანია ოჯახით, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ქეთევან ვახტანგის ასული ვახანია**

პანაშვიდი: 13 მაისს;

დაკრძალვა: 14 მაისს, 14 საათზე.

მეუღლე გულიკო ხოჯავა, შვილი ირინა, შვილიშვილები ანა, ნინო, თემუკა, ძმა პეტა, ძმისშვილები კახა, ლაშა, გიგი, თათია, ქეთა, სიდედრი ნაზი ხოჯავა, რძლები ნაზი ბუხაიძე, ქეთევან როყვა, თამუნა გერგაია, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით შალვას ძე მამადაშვილი**

პანაშვიდი: 13, 14 მაისს, 16 საათზე;

დაკრძალვა: 15 მაისს, 14 საათზე;

მისამართი: მუხიანი, დუმბაძის გამზირი, VIII კორპუსი, III სადარბაზო, IV სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## პარასკევი 13 მაისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** **კალათბურთი**. საქ. ჩემპიონატის ნახევარფინალი **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სერ. **"ზიანი"** (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი **"საშვი"** (12) **04.00** მოამბე

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი "რომი: იმპერიის ალმავლობა და დაცემა" **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფ."რომი: იმპერიის ალმავლობა და დაცემა" **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **მკვლელობა"** **01.00** მხ. ფილმი **"სარკეს ორი მხარე აქვს"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** პროფილი **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "საოცარი მითები და ლეგენდები" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.45** მხ. ფილმი **16.45** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** გადაცემა "105 წუთი" (პირდ.) **23.00** მზის კინოკლუბი **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ.**"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** ღამის შოუ **00.00** **შეგირდი** **00.30** მუსიკალური ლიგა (გან.) **01.45** ფლეიბოი იმედზე **02.40** მხ. ფილმი **"თაფლობის თვე"** (ს. მილერი) (სუბტ.) **04.20** მხ.ფ.**"წინასწარმეტყველი"** (12) (ნ. კეიჯი) (სუბტ.) **07.15** სერ. **"ბოშები"**

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **12.50, 19.30** სერ. **"სალომეა"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ.**"სკოლის მეგობრები"** **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფ."ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა" **11.00** დოკ. ფ. "წინანდალი" **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ამაღლება** **13.30** კონცერტი – თ.წიკლაური **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** მე-2ნ. **16.45** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.10** დოკ. ფ. "ალავერდობა" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" მე-5ნ. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"პირველი მერცხალი"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.20** გარდამოხსნის განმარტება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "შორია გურჯისტანამდე" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**13 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი



აშშ დოლარი — 1,6766



ევრო —2,4901



ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7672



რუსული რუბლი — 0,0612

## ამინდის პროგნოზი 13 მაისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-21, ღამით — 19-12

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-17, ღამით — 19-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15-16, ღამით — 4-19








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

**WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60**

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# ოცდაათი წლის შემდეგ

**დღეს, 30 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამომ" თასების მფლობელთა თასი მოიპოვა და ეს დღე ყველაზე წარმატებულად ითვლება ქართული ფეხბურთის ისტორიაში.**



თბილისის „დინამოს" მიერ 1981 წელს ევროპის თასების თასის მოგებასთან გასამართ საუბილეო საღამოზე, რომელსაც ორგანიზებას საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი უწევს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ბევრი ცნობილი საფეხბურთო მოღვაწის სტუმრობაა მოსალოდნელი.

„დინამოს" პრესატაშის გიგა გვენცაძის ცნობით, უკვე თბილისში იმყოფება ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრების ამჟამინდელი და თბილისელთა ყოფილი თავკაცი ივო შუშაკი. უნდა ჩამოვიდეს ჩეხეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი დამრიგებელი დუშან უჰრინი, რომლის ხელმძღვანელობითაც „დინამოს" საქართველოს ჩემპიონის ბოლო ტიტული მოიპოვა.

მათ გარდა, საიუბილეო საღამოს დაესწრება 1981 წლის ფინალში, იენის „კარლ ცაისის" კაპიტანი ლოთარ კურბივაიტი. მასთან ერთად იქნება გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი რაინერ მილკორაიტი. უკრაინიდან თბილისს ეწვევიან კიევის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელები — ანდრეი ბიბა და ვლადიმერ მუნტიანი.

აზერბაიჯანიდან ჩამოვლენ ბაქოს „ნეფთჩის" ყოფილი მოთამაშეები ისკანდერ ჯავადოვი და მაშალა ახმედოვი. სომხეთიდან გვესტუმრება ერევნის „არარატისა" და საბჭოთა კავშირის ექვსნახევარმცველი ხორენ ოგანესიანი. ღონისძიებას გასაშუქებლად ეწვევა „ნტვ ფუტბოლის" ჟურნალისტი ალექსეი ანდრონოვი. სხვათა შორის, საქართველოს ფარგლებს გარედან ჩამოსვლა არა მხოლოდ უცხოელ სტუმრებს მოუწიათ — მომავალი ღონისძიებისთვის, სოჭიდან სპეციალურად ჩამოფრინდა თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი გიორგი სიჭინავა.

უცხოელი სტუმრები ხვალ, 12:00 საათზე, „დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზას ეწვევიან და იქ მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოებს დაათვალიერებენ. საღამოს 19:00 საათზე კი, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი საღამო შედგება.

მ. ჟ.


# ყურადღება!

## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა 100 წიგნის პირველი ტომის, განდის, შეძენა!

"ახალი თაობის" 9 მაისის ნომრიდან ისევ გაიყიდება განდის ავტობიოგრაფია, იგივე ფასად:




**გაზეთი + წიგნი = 8 ლარი**


## ასტროპროგნოზი 13 მაისისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**სიახლის დღეა**

**ვერძი** — ახალ ამბავს გაიგებთ, რაც ძალიან გაგახარებთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ღრიანკალი** — იმიჯის შეცვლა თქვენზე სასიკეთოდ იმოქმედებს. **მშვილდოსანი** — ეს დღე მეგობრებთან ერთად გაატარეთ, მათგან კარგ ამბავს გაიგებთ. **თხის რქა** — თავს ფორმაში გრძნობთ, საქმე თქვენ სასიკეთოდ შემოტრიალდება. **მერწყული** — საქმეზე არ დაიგვიანოთ, თქვენი ბედი წყდება. **თევზები** — დაისვენეთ და სამსახურში ახალი ენერგიით წადით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 2. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 3. კუნთის კრუნჩხვითი შეკუმშვა; 4. უძველესი აკადემია კახეთში; 6. მაროკოს ქალაქ ფესში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი; 9. უდაბნო ეგვიპტე-სუდანის საზღვარზე; 11. ქართული რადიო; 15. მანქანაზე ნაქსოვი შალის, აბრეშუმის ან ბამბის ნაწარმი; 16. აგარაკი თბილისის მახლობლად; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ციხე-ქალაქი; 19. სახელმწიფო ახლო-აღმოსავლეთ აზიაში; 21. მე-17 საუკუნის იტალიელი მეცნიერი, ასტრონომი, ტელესკოპის გამომგონებელი; 22. პროვინციის მმართველთა ტიტული ინდოეთში ძველად.

**თარაზულად:** 5. რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარ განჭვრეტა; 7. ქალაქი საქართველოში; 8. ტბა სამხრეთ საქართველოში; 10. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 12. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 13. ევროპისა და აზიის გამყოფი ქედი; 14. სპორტის ოლიმპიური სახეობა, თანამედროვე სამჭიდი; 18. ხურდა ფული აშშ-ში; 20. შაქრის ავადმყოფობის, დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება; 23. მგალობელი ჩიტი; 24. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 25. თიხის ჭურჭლის მკეთებელი ოსტატი; 26. ნიგვზის წვენის საწებელი; 27. სამშენებლო მასალა.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*



შედით საიტზე atb.ge



# გაერთიანების შემთხვევაში ოპოზიცია ხელისუფლებას შეცვლის

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან**



***— ქალბატონო ნანა, რას უნდა ველოდოთ 26 მაისისთვის? სულ სხვადასხვა ვერსიაზე საუბრობენ. ცნობილია, რომ სახალხო კრება აქციებს 21 მაისს იწყებს და ამ დროისათვის რუსთაველზე იქნება. ჩაატარებს ალღუმს სააკაშვილი?***

— ამ დროისათვის რომელი ძალაც იქნება ძლიერი, ის შეძლებს პროცესების მართვას. ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ვინაიდან ხელისუფლება ამას აანონსებს, ბუნებრივია, ის ფიქრობს, რომ ვერანაირი ოპოზიციური ძალა ვერ შეძლებს პროცესების მართვას და ეს სადავეები აქვთ მათ ხელში, ამიტომაც ბედავს და ამაზე თამამად საუბრობს. ვნახოთ, თუკი ოპოზიცია საპირისპიროს დაანახვებს, ხელისუფლებას აღარც სურვილი ექნება და აღარც შესაძლებლობა ამ ალღუმის ჩატარებისა. მთავარია, რომ ამ დროისათვის საზოგადოება და ოპოზიცია იყოს მზად იმისთვის, რომ ხელისუფლებას არ მისცეს ზეიმის საშუალება, თანაც იმ დროს, როდესაც ქვეყანაში საზეიმო არაფერია.

***— ალბათ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მასა გამოვა ქუჩაში...***

— დამოკიდებულია იმაზე, რამდენად იქნება საზოგადოება მზად იმისთვის, რომ შეძლოს ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. რამდენად იქნება მზად, რომ, ვთქვათ, იმავე მიტინგებსა და მანიფესტაციებში იყოს მისი აქტივობა. ვნახოთ, რა მდგომარეობა იქნება იმ დროისათვის.

***— კვლავაც გრძელდება დაპირისპირება ქართულ პარტიასა და სახალხო კრებას შორის. როგორ ფიქრობთ, რამდენად დადებითად ან უარყოფითად იმოქმედებს ეს საზოგადოების განწყობაზე?***

— დაპირისპირება ოპოზიციურ ან საზოგადოებრივ ძალებს შორის ძალიან ცუდად მოქმედებს ხალხზე და მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ შეძლონ გაერთიანება ერთი რეჟიმის წინააღმდეგ და ერთი მიზნისთვის. მთავარი დღეს დღევანდელი რეალობის, დღევანდელი რეჟიმის შეცვლაა, რომელმაც მართლაც პრობლემების მთელი კასკადი დაატრიალა ქვეყანაში და რომელზეც ასე ხშირად ლაპარაკობს როგორც ოპოზიცია, ისე ხალხი. აი, ამ ყველაფრის გადაჭრის ერთ-ერთი მექანიზმი სწორედ ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ერთიანობაა.

***— უკვე სერიოზულად შეინიშნება საზოგადოებაში დაბნეულობა და აზრთა სხვადასხვაობა. ქართულმა პარტიამ დაასწრო სახალხო კრებას, გაცილებით ადრე დაიწყო აქციები და აპირებს, 21 მაისამდე თბილისშიც გამართოს საპროტესტო აქცია. დღეს დასწრებაზეა საქართველოში აქციების გამართვა?***

— ძალიან ცუდია, რომ დღეს ოპოზიცია ერთმანეთს განიხილავს კონკურენტად და არა ხელისუფლებას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მიზნის მისაღწევად ეს ძალები ერთად უნდა დადგნენ, გვერდზე უნდა გადადონ პირადი ამბიციები, თუ რეალურად სურთ ამ რეჟიმის შეცვლა.

***— რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებას, ალბათ, თქვენც მოისმინეთ მისი განცხადებები, ამან საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ითქვა ისიც, რომ ოქრუაშვილი ხელისუფლების თამაშს თამაშობს... როგორია თქვენი შეფასებები და რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

— ეს განცხადებები პირადად მე არ მომისმენია, მხოლოდ გადმოცემით ვიცი მისი განცხადების შესახებ. გეტყვით, რომ ნებისმიერი დაპირისპირება დასავლეთთან ამ ეტაპზე არ არის ხელსაყრელი. რანაირად შეიძლება, დაუპირისპირდე ძალას, რომელიც შენს ქვეყანაში რეალურად ცვლის პოლიტიკას და რეალურად შეუძლია პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა?! ეს არის ერთადერთი მექანიზმი, იგივე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული. თუ ეს ყველა იმედი გადაწურულია, მაშინ საზოგადოებაში არის ძალა, რომ ეს ყველაფერი აღდგეს?! ჩემი აზრით, დღეს არ შეიძლება ასეთი დაპირისპირება დასავლეთთან. გამოკვეთილია მის ქმედებებში, განცხადებებში, რომ დღეს დასავლეთი ერთპიროვნულად ოპოზიციის მხარესაა და, თუ ახლა ვინმე ფიქრობს, რომ აქ ამერიკის შეერთებული შტატები ან ევროპა ტანკებით ჩამოვა და ამ რეჟიმისგან გაგვათავისუფლებს, ეს ძალიან არასწორი შეხედულებაა. ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენი თავის პატრონობა და ეს დასავლური ფაქტორები შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენ სასიკეთოდ. დღეს ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს თავისი ბედი. აუცილებლად ქართველმა ხალხმა და, ვიმეორებ, ამაში უნდა გამოვიყენოთ დასავლეთი, დასავლეთის გამოყენებისთვის კი, სულ მცირე, მასთან ცუდი ურთიერთობა არ უნდა გვქონდეს.

***— რვიანს რაც შეეხება, მას ღიად უჭერდა დასავლეთი მხარს, თუმცა, ამ ეტაპზე მათი მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან ჩაშლილია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლება არანაირ დათმობაზე არ წავა?***

— მე ვფიქრობ, რომ დასავლეთი კიდევ ჩაერევა ამ პროცესში და სერიოზულად ჩაერევა. მოვლენების ნებისმიერი განვითარების შემთხვევაში არჩევნები გარდაუვალია. ქართველი საზოგადოების ინტერესშია, რომ ეს არჩევნები იყოს დემოკრატიული, გამჭვირვალე, თავისუფალი, ისეთი, როგორიც აქამდე არ ყოფილა. ასე რომ, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები არჩევნებამდე, თუ არ იქნა საარჩევნო გარემო, მივიღებთ იმავე შედეგს, რომელსაც აქამდე ვიღებდით. რა სცენარითაც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, არჩევნები ყველა სიტუაციაში აუცილებელია. ეს უნდა გაიგოს იმ ძალამაც, რომელიც ფიქრობს, რომ სხვა ფორმით უნდა ხელისუფლების შეცვლა. რა გზითაც არ უნდა შეცვალო ხელისუფლება, მაინც მოგიწევთ არჩევნების ჩატარება.

***— ამბობენ, რომ ხელისუფლება სერიოზულად ემზადება იმისათვის, რომ 21 მაისს დაგეგმილი აქცია დაარბიოს. რამდენად არის ამაზე წამსვლელი სააკაშვილი?***

— არა მგონია, ამაზე წავიდეს. ეს მისთვის იქნება ძალიან წამგებიანი და ის ამაზე არ წავა. სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რა არის მისთვის ამ ეტაპზე მომგებიანი და რა — წამგებიანი. ამას გრძნობს ბრწყინვალედ, თავის სასარგებლოდ შეგრძნებები არ ღალატობს ხოლმე.

***— არის იმის შანსი, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს?***

— არა, არ არის დღეს ქვეყანაში ის სიტუაცია, რომ მან საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს, არა მგონია, ეს დასჭირდეს და ამაზე წავიდეს, თუმცა, თუ საფრთხეს იგრძნობს, ამაზეც წავა. ამ ეტაპზე კი ამის საჭიროებას ვერ ხედავს.

***— სააკაშვილი ფიქრობს, რომ როგორც გამოვლენ, ისევე დაიშლებიან, როგორც სხვა შემთხვევებში?***

— დიახ, ზუსტად ასე ფიქრობს ხელისუფლება. დღეს ყველაფერი ჩვენს ხალხზეა დამოკიდებული. მთავარია, როგორი იქნება ქართველი ხალხის ნება, რა მასა გამოვა ქუჩაში.

***— თქვენი იმედები და მოლოდინი როგორია?***

— თუ ოპოზიცია გაერთიანდება და გამთლიანდება, ალბათ, არის შანსი იმისა, რომ ეს ხელისუფლება დამთავრდეს.

# სააკაშვილი იმიჯის გადასარჩენად კალმახელიძეს გაწირავს

შორენა კოწოწაშვილი

**სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ დამფუძნებელი ეკა ბესელია სასჯელაღსრულების მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს უპირისპირდება და პენიტენციალურ სისტემაში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს.**



— ბოლო ერთი წელია, ჩვენი სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ყოველდღიურად, საჯაროდ და მიუკერძოებლად ამხელს და ააშკარავებს საქართველოს ციხეებში, საპყრობილეებში არსებულ დანაშაულებრივ ფაქტებს და აყენებს სასჯელაღსრულების მინისტრის კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხს. ყველა ფაქტი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, შემზარავია და იმ განუკითხაობაზე მეტყველებს, რომელიც საპატიმრო დაწესებულებებში სუფევს. ინფორმაციას ჩვენ ვიღებთ პირველწყაროდან, უშუალოდ პატიმრებისა და მათი ადვოკატებისგან, — აცხადებს მოძრაობის დამფუძნებელი ეკა ბესელია.

უფლებადამცველის მიერ გუშინ გავრცელებული განცხადების თანახმად, კალმახელიძე აქტიურად იყენებს პატიმარ აგენტებს, ე.წ. კონფიდენტებს ანუ „ქათმებს“ იმისათვის, რომ სასურველი ცილისმწამებლური განცხადებები დაიწეროს პატიმრებთან მიმართებით.

— ჩვენ მიერ პირველწყაროდან მოპოვებული უტყუარი ინფორმაციით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში სასჯელაღსრულების მინისტრის დავალებით მიმდინარეობს ოპერატიული მუშაობა, რათა საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციასთან დაახლოებული პატიმრები, ანუ მათი საიდუმლო თანამშრომლები (აგენტები) გამოყენებულ იქნენ ცრუ, დეზინფორმაციული და ცილისმწამებლური განცხადებების დასაწერად. ასეთი განცხადებების გავრცელების მცდელობა მინისტრ კალმახელიძისა და საპყრობილის დირექტორების მხრიდან მიზნად ისახავს პირველ რიგში შურისძიებასა და ანგარიშსწორებას მათი მამხილებელი ფაქტების გამომზეურების გამო, ასევე დისკრედიტაციასა და „შავ პიარს“ ჩვენი მოძრაობის ლიდერების მიმართ, — აცხადებს ეკა ბესელია და იქვე მიუთითებს, რომ „აგენტ“ პატიმრებს ცილისმწამებლური განცხადებების სანაცვლოდ სხვადასხვა შეღავათს ჰპირდებიან.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი უკანონობა იმ ციხეებში ხდება, რომლებსაც თავად კალმახელიძე ევროდონისას უწოდებს და საჯაროდ საუბრობს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე, რომ მისი მინისტრობის პერიოდში გატარებული წარმატებული რეფორმის შედეგად პატიმრები თავს კომფორტულად გრძნობენ, რომ მათი უფლებები არ ირღვევა და დროულად უტარდებათ სამედიცინო დახმარება.

კალმახელიძე რომ ცრუობს, ეს საქართველოში ყველამ იცის — ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც. თუმცა, პრეზიდენტი არც მის მოხსნასა და არც პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას არ აპირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი მინიმუმ მაშინ დაისმებოდა, როცა ღიად ითქვა, რომ ციხეებში კორუფციაა და „რეზბალნიცაზე“ გადაყვანაში პატიმრები სოლიდურ თანხას იხდიან, ისევე, როგორც ვადაზე ადრე გათავისუფლებისთვის — 10 000 ლარს.

— გვინდა გავაფრთხილო მინისტრი კალმახელიძე და საპყრობილის ის ხელმძღვანელები, რომლებიც მსგავსი უკანონობებით არიან დაკავებულნი: ყველა ფაქტი გახდება საჯარო და დაექვემდებარება ობიექტურ გამოძიებას. ვურჩევ, თავი დაანებონ საიდუმლო აგენტების გამოყენებას ცილისმწამებლური კამპანიისთვის და საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებების გადასაფარად, რადგან ეს უფრო საზიანო იქნება მათთვის, — ამბობს ეკა ბესელია განცხადებაში, რომელსაც ორგანიზაციის სახელით ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ ხათუნა კალმახელიძის საქმიანობა უარყოფითად ფასდება სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელად მისი მოსვლის დღიდან, თუმცა, ადვოკატებისა და უფლებადამცველების საფუძვლიანი კრიტიკა უყურადღებოდ დარჩა როგორც თავად მინისტრის, ისე სააკაშვილისა და მისი პარლამენტის მხრიდან, რომელსაც აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლი ევალება.

პერიოდულად ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ პატიმრებს არა აქვთ სათანადო სამედიცინო მომსახურება, რომ პატიმრების მიმართ აქვს ადგილი ცემაწამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, რომ მინისტრის დავალებით რიგ პატიმრებზე ხორციელდებოდა ზეწოლა და ა.შ. ადვოკატმა ტაბალუამ კი ის თანხები გახადა საჯარო, რომელიც ციხეებში კორუფციის დამადასტურებელია და რომელსაც პატიმრები იხდიან ვადაზე ადრე გათავისუფლებისა და სამედიცინო ნაწილში გადაყვანისთვის.

თავის დროზე კალმახელიძეს არასამთავრობო ორგანიზაციები საჯარო ინფორმაციის დაფარვისთვისაც დაუპირისპირდნენ, თუმცა, ამ მხრივ მდგომარეობა დღემდე არ გამოსწორებულა. კალმახელიძის მხრიდან უყურადღებობა და საფუძვლიანი პრეტენზიების იგნორირება გასაკვირი არც არის, რადგანაც საზოგადოებამ თავად ნახა და მოისმინა კალმახელიძის პოზოიცია იმ საკითხის მიმართ, რომელზე საუბარიც არ აწყობდა. მინისტრმა ჟურნალისტს მიუგო, ამ საკითხზე სასაუბროდ არ ვარო.

რა შედეგებს გამოიღებს ადვოკატებისა და უფლებადამცველების განცხადებები კალმახელიძის წინააღმდეგ, ამას დრო აჩვენებს. თუმცა, ექსპერტები და ოპოზიციონერი პოლიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ სააკაშვილმა იმიჯის გადასარჩენად ხათუნა კალმახელიძე და კობა სუბელიანი გაწიროს.

## მოძრაობა „არა!“-მ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან საპროტესტო აქცია გამართა

თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მოძრაობა „არა!“-ს, „წარმომადგენლობითი სახალხო კრებისა“ და „სამოქალაქო ფრონტის“ საპროტესტო აქცია გაიმართა.

აქციის მონაწილეები 7 მაისს რუსთავში აქციაზე მოძრაობა „არა!“-სა და „სახალხო კრების“ ახალგაზრდული ფრთის აქტივისტთა დაკავებას აპროტესტებენ და მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ.

როგორც „მედიანიუსს“ მოძრაობა „არა!“-ს ერთ-ერთმა ლიდერმა თიკო ნიბლოშვილმა განუცხადა, 7 მაისს რუსთავში მათი აქტივისტები აბსოლუტურად უკანონოდ და პროვოკაციის საფუძველზე დააკავეს.

— სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ არცერთ ჩვენს წევრს რომელიმე სამართალდამცავისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. ხოლო ის, ვინც პოლიციელ ქალბატონს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ჩვენი წევრი არ ყოფილა და ამას ისიც ადასტურებს, რომ მან მიმდებარე ტერიტორია მშვიდად დატოვა და არცერთ სამართალდამცავს ყურადღებაც კი არ მიუქცევია,— განაცხადა თიკო ნიბლოშვილმა.

თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეკრებილი ახალგაზრდები იმ პოლიციელების გათავისუფლებას ითხოვენ, რომლებმაც დაკავებულებს წვრილმან ხულიგნობაში დასდეს ბრალი. გარდა ამისა, აქციის მონაწილეები 7 მაისს დაკავებული ახალგაზრდების დაუყოვნებლივ გათავისუფლებასაც ითხოვენ.

შეგახსენებთ, რომ 7 მაისს რუსთავში მოძრაობა „არა!“- სა და „სახალხო კრების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ აქციაზე სამართალდამცავებმა წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით აქციის შვიდი მონაწილე დააკავეს. მათ შორის მოძრაობა „არა!“-ს ლიდერი ლევან ჩიტაძე, რომელსაც სასამართლომ 30 დღიანი პატიმრობა შეუფარდა. ასევე, დაკავებულები არიან დავით დალაქიშვილი, ვასილ ბალახაძე, გია ნოზაძე, ოთარ ყაველაშვილი, შალვა მახარაშვილი და გელა ნაკაშიძე, რომელთაც 7-დან 30 დღემდე პატიმრობა აქვთ შეფარდებული.

ამ დროისთვის დაკავებულები სასჯელს თბილისის პოლიციის სამმართველოში, რუსთავისა და ბოლნისის წინასწარი დაკავების იზოლატორებში იხდიან.

**მედიანიუსი**

## საქართველო აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს ევროპულ ფანჯარას სთავაზობს

აშშ-ს „ჯეიმსტაუნის ცენტრის“ ანალიტიკოს ვლადიმირ სოკორის შეფასებით, 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრა აფხაზი და ოსი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯიც იყო.

როგორც სოკორმა აშშ-ში, „ჯეიმსტაუნის“ ცენტრში, კავკასიის გეოპოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე განაცხადა, საქართველო აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს სთავაზობს ევროპულ ფანჯარას, რომელიც მათ რუსეთთან ერთად არასოდეს ექნებათ.

— საქართველო აფხაზ და ოს ხალხს ევროპულ არჩევანს სთავაზობს, რომელიც მათ არასოდეს ექნებათ რუსეთთან ერთად. ეს პერსპექტივა აგვისტოს ომის შედეგად შეფერხდა, შესაბამისად, გამოდის, რომ რუსეთის მიერ 2008 წლის საქართველოში შემოჭრა იყო აფხაზი და რუსი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდაც გადადგმული ნაბიჯი, — განაცხადა ანალიტიკოსმა.

**მედიანიუსი**